# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 18 სექტემბერი, 2015 წელი.

№175 (7820)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.




## ალექსანდრე თვალჭრელიძე:

5

## ნაციონალთა პრეტენზიები სუფთა წყლის დემაგოგიაა!

## სადაც პაპუაშვილი წავა, აქციაც იქ გაიმართება

4

8

## საქართველოში ბინებს ძირითადად ემიგრანტები და უცხოელები ყიდულობენ

## ტარიელ ხერიკაშვილი:

22

## სამინისტროს პასუხი ფეხბურთის ფედერაციას და უეფას

# მატროსოვის ქუჩის ვნებები...

**ამ ორიოდე დღის წინათ საქართველოს ისტორიას კინაღამ ერთი „გმირი“ შეემატა.**

არა, რომ გითხრათ, რომ იმ ე.წ. კინაღამ „გმირადქცეულმა“ კაცმა დაგორებული მატარებელი შეაჩერა და უამრავი ადამიანის სიცოცხლე იხსნა, ან მარტოდმარტო შეება მტრის ურიცხვ ურდოებს, აფხაზეთი და სამაჩაბლო კი არა, სოჭიც დაგვიბრუნა და ჩვენი სამშობლო კვლავ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმაო, საშინელი ტყუილი იქნება. პირიქით, მას, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებია. იჯდა თავის საკანში და ელოდა, თუ როდის გახსნიდნენ მისი „მეგობრები“ და „თანამოაზრეები“ ქ. თბილისის მე-9 სასჯელაღსრულების დაწესებულების („მატროსოვის“) კარს, ციმციმ აიყვანდნენ ხელში და მთელს ქალაქს მოატარებდნენ.

მისი „მეგობრების“ და „თანამოაზრეების“ (ჩემი აზრით ამ ორი სიტყვის „მეგობრების“ და „თანამოაზრეების“ ნაცვლად ერთი - „თანამზრახველები“ რომ დავწერო, უფრო უპრიანი იქნება) სურვილი, თბილისის „მატროსოვის ციხე“ ბასტილიის რეინკარნაციად ექციათ და 17 სექტემბერი „მატროსოვის აღების“ დღედ გამოეცხადებინათ, არ ახდა.



**ალბათ მიხვდით, რომ ეს „ღრმა“ ისტორიულ-ლიტერატურული შესავალი ქ. თბილისის ყოფილ მერს გიგი უგულავას და მის დამქაშებს ეხებოდა.**

მართალი გითხრათ, ის იურიდიული ნორმები, კაზუსები, მუხლები, თუ სხვა უცნაური სიტყვები, რომლებიც მრავლად ისმოდა სხვადასხვა კომენტარში, რბილად რომ ვთქვა, საერთოდ არ მაინტერესებს. სამაგიეროდ ჩემთვის და საქართველოს მოსახლეობისთვის სამწუხაროდ, ნათლად გამოჩნდა ის უმთავრესი პრობლემა, რომელიც მიუხედავად ხელისუფლების მრავალი მცდელობისა „ხალთაში არ დაიმალა“.

დავიწყოთ იმით, რომ მიუხედავად იმისა, მიჩვეულნი ვართ სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით, ხელისუფლების წარმომადგენლების ყოვლად არაადეკვატურ და არაპროფესიულ განცხადებებს, გიორგი ვოლსკის განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ყოველგვარ „მოლოდინს“ გასცდა.

„საკონსტიტუციო სასამართლომ და პირადად თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა „ნაცების“ მიერ კარგად დადგმულ სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. გუშინ უნდა ყოფილიყო სასამართლო, სადაც უგულავას საბოლოოდ მიუსჯიდნენ. სწორედ ამიტომ წელავდნენ პროცესს, არ ცხადდებოდნენ ადვოკატები, რომ სასამართლომდე საკონსტიტუციოს გამოეგდო ეს გადაწყვეტილება, რასაკვირველია, ეს ბრიფინგები და განცხადებებიც წინასწარ იყო დაგეგმილი საინფორმაციო ველზე პოზიციამომძლავრებული ერთ-ერთი ტელეარხის მიერ.

**„პროფესიონალიზმი“ ნახეთ — ტურავას ქმედებების გარჩევაზე გადააქვთ აქცენტი, საერთოდ არ უთხრეს, რას და როდის აცხადებდნენ და თურმე მე არ უნდა მცოდნოდა, რომ მოსამართლის ვალდებულებაა, წინასწარ გაეცნოს ხელმოსაწერ მასალას“. არ არის ეს პოლიტიკური დაკვეთის შესრულება?“** — საკუთარი ფეისბუქის გვერდზე განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

უკაცრავად, მაგრამ ეს სახელმწიფოა, თუ სოფლის კლუბი? და ამას საქართველოს პარლამენტის წევრი და უმრავლესობის ლიდერი აცხადებს, თუ...

რას ნიშნავს ფრაზა — **„ასეთ მნიშვნელოვან თემაზე ფაციფუცით და ზეწოლით გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება. ზეწოლას ახორციელებს თავად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე“.**

აუცილებლად! ვიმეორებ — აუცილებლად! უნდა ითქვას, თუ ვინ ახდენდა ზეწოლას და რა ფორმით!

ვინ გაბედა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ისე დააშინა, რომ მან თერმომეტრი შალის ნაჭერს უხახუნა, სიცხე მაქვსო და სხდომაზე არ გამოცხადდა!

რა უქნეს ასეთი? მკაცრად შეხედეს, უყვირეს, მაგიდაზე მუშტი დაუბრახუნეს, თუ ცოცხი დაანახეს?

რა გვეშველება ჩვენ, რიგით მოქალაქეებს მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრზე ხორციელდება ზეწოლა?

სად არიან სამართალდამცველები? რატომ არ აკეთებს განცხადებას გენერალური პროკურატურა ამ მეტად სენსიტიურ ფაქტზე?

ეს დუმილი შემთხვევით უკვე მოუკრეფავში გადასული კოჰაბიტაციის, ან იმ განცხადების ბრალი ხომ არ არის, რომელიც ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა 2013 წლის 14 ივნისს ბათუმში გააკეთა.

**„მისასალმებელია ის, რომ კონსტიტუციური სასამართლო გამორჩეულია ზოგადად და მან მოახერხა, უფრო სუფთად და უფრო კითხვების გარეშე დარჩენილიყო მიღმა იმ კითხვებისა, რაც არსებობს საზოგადოებაში, არსებობდა საზოგადოებაში სასამართლოსადმი ზოგადად. ამ მხრივ მისასალმებელია და მადლობა შეიძლება გადავუხადოთ ბატონ გიორგის, რამეთუ მისი ხელმძღვანელობითაც წლების განმავლობაში ეს ფუძნდებოდა. კონსტიტუციური სასამართლოს მიმართ პრაქტიკულად შეკითხვები არ არსებობს და პოზიტივის გარდა საზოგადოებაში ვერაფერს ვერ მოისმენ, ეს ძალიან სასიამოვნო და სასიხარულოა“,** — განაცხადა ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა.

იხ. 5 გვ.

## საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს საერთო სასამართლოების მიერ

**საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილება არის საბოლოო და სავალდებულოა შესასრულებლად.** ამის შესახებ გიორგი მარგველაშვილმა გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე განცხადებისას განაცხადა.

**„სახელმწიფოს უმთავრესი დანიშნულებაა ადამიანის უზენაესი უფლებების დაცვა. მართლმსაჯულების მიზანიც სწორედ ამ უზენაეს უფლებათა უზრუნველყოფაშია. საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები უნდა იდგნენ ამ უფლებათა სადარაჯოზე.**

**საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილება არის საბოლოო და სავალდებულოა შესასრულებლად. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს საერთო სასამართლოების მიერ. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს ამ გადაწყვეტილების ყველა კონკრეტულ შემთხვევაში აღსრულების პროცესს“,** — განაცხადა პრეზიდენტმა.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# ნაციონალმა გიორგი პაპუაშვილმა პოლიტიკური დავალება შეასრულა

**ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 16 სექტემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე საუბრობს.**

„ახალგაზრდა ადვოკატების" ხელმძღვანელის



არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, საზოგადოება მოულოდნელი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", გადაწყვეტილება „კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოაქვეყნა".

„გადაწყვეტილების გამოქვეყნების დროს, სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმა და მოსამართლეებმა, გვერდი აუარეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონს და გადაწყვეტილება 8 მოსამართლის (9-ის ნაცვლად) ხელმოწერით გამოაქვეყნეს, რაც ნიშნავს, რომ სახეზეა კანონით დადგენილი წესით დაუცველი გადაწყვეტილების მიღება", — აცხადებს კაიკაციშვილი.

„ახალგაზრდა ადვოკატების" შეფასებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნება ლეგიტიმურობის შესახებ კითხვებს აჩენს.

„გადაწყვეტილების ასეთი ფორმით გამოტანას ანალოგი არა აქვს არც ერთ ქვეყანაში. სახეზეა ორგანული კანონით მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი, აღნიშნული დარღვევის გამოსწორებისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც მოცემულობა, საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მაღალი ალბათობით, სასამართლოს თავმჯდომარემ შეასრულა პოლიტიკური დავალება და გამოცხადებული გადაწყვეტილებით შექმნა ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მორგებული პრეცედენტი - დაუცველი წესით მიღებული გადაწყვეტილების სახით. სამწუხაროდ, აღნიშნულ მოქმედებას დაეთანხმნენ საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა მოსამართლეებიც, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ კანონის დარღვევაში. ამასთან, სასამართლომ შექმნა არაკოლეგიალური გარემო, როდესაც მოსამართლე მერაბ ტურავას არ მიეცა გონივრული ვადა, გადაწყვეტილების პროექტს გაცნობოდა.

მისი განცხადებით, გიორგი პაპუაშვილი თავად არღვევს საქართველოს კონსტიტუციას და ადამიანის უფლებებს, ხელისუფლება კი, ჩადენილ კანონდარღვევაზე, დუმს.

# საკონსტიტუციო სასამართლომ კი არა ბრალდებული საერთო სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს...

**ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ გიგი უგულავასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე განმარტება გააკეთა.**

**როგორც ბესელიამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ იქნება რომელიმე პირის გათავისუფლების საფუძველი თუ მას არ მოჰყვება საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება.**

„საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომელიც მიღებულია 2010 წელს, ნაციონალური მოძრაობის დროს და ამის შემდგომ უკვე იწყება პროცედურები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში წერია, რომ ნორმის გაუქმება არ იწვევს ადრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას, არამედ საპროცესო კოდესის თანახმად ხდება მოქმედებები. პატიმრობის შესახებ კოდექსში წერია, პირის გათავისუფლება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. ანუ ავტომატურ რეჟიმში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ იქნება რომელიმე პირის გათავისუფლების საფუძველი, თუ არ მოჰყვება მას საერთო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამბობს, რომ პირის მიმართ დაპატიმრება, პატიმრობიდან გათავისუფლება ეს არის მხოლოდ საერთო სასამართლოს კომპეტენცია. ანუ მან უნდა იმსჯელოს პირის მიმართ წაყენებული აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე. ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეხება მხოლოდ უგულავას საქმეს. ის ეხება იმ პირებს, ვინც იმ ნორმის გამოყენების საფუძველზე იყო წინასწარი პატიმრობის ქვეშ ცხრა თვის შემდეგ. ასე, რომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლემ დამოუკიდებლად ცალ-ცალკე უნდა იმსჯელოს, ვის ეხება ეს გადაწყვეტილება და ეხება თუ არა. ამდენად, ავტომატურ რეჟიმში, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასჯელაღსრულების სამინისტრომ ან რომელიმე დაწესებულებამ ისე მიიღოს გადაწყვეტილება, ვიდრე მასზე საერთო სასამართლო არ იმსჯელებს, ამ შემთხვევაში საქალაქო სასამართლო, რომელმაც პატიმრობა შეუფარდა უგულავას ან რომელიმე სხვა პირს, იქამდე გადაწყვეტილება ავტომატურ რეჟიმში არ მიიღება. ეს არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი", — განაცხადა ეკა ბესელიამ.

⊙ დირის ვერდამნახავნი

# ნამუსი რომ ჰქონდეთ, გნაცები სხვებზე უნდა ლაპარაკობდნენ?

## „უგულავას დროსტარებებზე მერიიდან 1794 783 ლარი დაიხარჯა"

**როგორ ხვდებოდა უგულავას გამოისობით მერიის თანხები სააკაშვილის ბებიის, ნაციონალების შემომწირველების და შოუბიზნესის წარმომადგენელთა კომპანიების ანგარიშებზე? — აღნიშნულ ფაქტებზე „უფლებადამცველთა გაერთიანებამ" ჩაატარა კვლევა თბილისის მერიის მიერ 2010-2014 წლებში სარესტორნო მომსახურებებისთვის გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით.**

„უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ „რეპორტიორის" პრესკლუბში აღნიშნული კვლევის პრეზენტაცია გამართა და წარმოადგინა მასალები, რა თანხებს ხარჯავდა რესტორნებში მერია და რა ოდენობის თანხები გადაირიცხებოდა კომპანიებზე. „მოპოვებულმა ინფორმაციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ხშირად ღონისძიებებზე ისეთი თანხები გადაირიცხებოდა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება რეალურ მაჩვენებელს და შესაძლოა, საქმე ფულის გათეთრებასთანაც გვქონდეს, — აღინიშნა პრეზენტაციაზე.



წლებია, ნაციონალური მოძრაობა და სხვა პოლიტიკური თუ არასამთავრობო ორგანიზაციები გაჰკივიან სარესტორნო მომსახურებებზე მერიის მიერ კოლოსალური თანხების გადარიცხვებთან დაკავშირებით. ცოტა არ იყოს, უხერხულია ასეთი ტიპის განცხადებები იმათგან, ვინც მილიონობით ლარს ამ კუთხით ხარჯავდა.

2010 წელს მერიის ბიუჯეტიდან სულ 339049,64 ლარი (სამას ოცდაცხრამეტი ათას ორმოცდაცხრა ლარი და სამოცდაოთხი თეთრი) გამოიყო.

1. 2011 წელს 669522,56 ლარი (ექვსას სამოცდაცხრა ათას ხუთას ოცდაორი ლარი და ორმოცდათექვსმეტი თეთრი),2. 2012 წელს 489013,71 ლარი (ოთხას ოთხმოცდაცხრა ათას ცამეტი ლარი და სამოცდათერთმეტი თეთრი),3. 2013 წელს 258290,98 ლარი (ორას ორმოცდათვრამეტი ათას ორას ოთხმოცდაათი ლარი და ოთხმოცდათვრამეტი თეთრი),4. 2014 წლის პირველ ნახევარში, ივნისამდე 38907,10 ლარი (ოცდათვრამეტი ათას ცხრაას შვიდი ლარი და ათი თეთრი).

**ჯამში თბილისის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ 2010-2014 წლებში ქეიფებსა და დროსტარებაში მერიიდან 1 794 783 ლარი დახარჯა,** — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

მისივე თქმით, ღონისძიებების უდიდესი ნაწილი იმართებოდა მაღალჩინოსნებთან დაახლოებული პირის რესტორნებში, როგორიც იყო რესტორანი „წისქვილი". **„შპს „წისქვილი" მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე მის ბებიას მზია წერეთელს ეკუთვნოდა, ვადის ამოწურვამდე რამდენიმე ხნით ადრე კი ის ახალი მფლობელის, ლაშა ჩხაიძის ხელში გადავიდა. 2010 -2013 წლებში სულ რესტორან „წისქვილს" სარესტორნე მომსახურების გაწევის სანაცვლოდ 108399,81 ლარი (ას რვა ათას სამას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაერთი თეთრი გადაერიცხა).**

კიდევ ერთი მაგალითი თინათინ ნიჟარაძეა, რომელიც, როგორც ცნობილია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფონდის ერთ-ერთი შემწირველია, მის სახელზეა რეგისტრირებული შპს „ფართი ჰაუსი", ასევე ის დარეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ, რომელიც ფურშეტების მოწყობას უზრუნველყოფს. **2010-2013 წლებში მისი ორივე კომპანიის ანგარიშზე 271267,07 ლარი (ორას სამოცდათერთმეტი ათას ორას სამოცდაშვიდი ლარი და შვიდი თეთრი) გადაირიცხა.**

ქართული შოუბიზნესის წარმომადგენელი დავით გომართელი ფლობს კომპანიას „სითი ენთერთეინმენთი" და ასევე ის არის ინდივიდუალური მეწარმე „სითი ენთერთეინმენთის" კუთვნილებაა „City Club" და „Sky Bar". **დავით გომართელის სახელზე 2010-2012 წლებში 66064,6 ლარი (სამოცდაექვსი ათას სამოცდაოთხი ლარი და სამოცი თეთრი) გადაირიცხა",** — განაცხადა მჟავანაძემ.

# სასჯელაღსრულების სამინისტრო აცხადებს...

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებით, პენიტენციური დაწესებულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, გაათავისუფლოს ბრალდებული პატიმრობიდან, თუ შესაბამისმა საერთო სასამართლომ მიიღო შეფარდებული აღკვეთი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება.**

**როგორც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, იურიდიულმა დეპარტამენტმა, მინისტრის კახა კახიშვილის დავალებით, შეისწავლა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება გიგი უგულავას სარჩელთან დაკავშირებით. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო აცხადებს, რომ პატიმრობის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის უშუალოდ აღმასრულებელი ორგანო არის პენიტენციური დაწესებულება.**

„ამავე კოდექსის თანახმად, ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მოთავსებისთვის აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება პირისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ. აღნიშნული ნორმის თანახმად, ნებისმიერი ბრალდებული საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფება სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე, თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ მოხდა ამ განჩინებით განსაზღვრული აღმკვეთი ღონისძიების სახის (პატიმრობის) შეცვლა/გაუქმება. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 16 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა სსსკ-ის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ, მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე, მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით". ამრიგად, თავად ეს ნორმა მიუთითებს, რომ სასამართლოს განჩინება კონკრეტული პირისთვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ უქმდება, იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღნიშნული განჩინება გამოტანილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონკრეტული სამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობამდე. ამავე ნორმის შესაბამისად, შესაძლებელია განჩინების მოქმედების შეჩერება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს აღკვეთი ღონისძიების მოქმედების შეჩერებას. პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია, აღასრულოს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ გაუქმებულა ან შეცვლილა. შესაბამისად, პროცესის მონაწილე მხარეებს, მათ შორის ბრალდებულს ან/და მის დამცველს უფლება აქვთ, თავად მიმართონ სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიების შეცვლასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებით. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, არ წარმოადგენს მხარეს, რომელიც უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პენიტენციური დაწესებულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი გაათავისუფლოს ბრალდებული პატიმრობიდან, თუ შესაბამისი საერთო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა შეფარდებული აღკვეთი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება", — ნათქვამია განცხადებაში.




სასჯელასრულებისა და პრობაციის სამინისტრო დაინტერესებულ პირებს მოუწოდებს, დაუსაბუთებელი პოლიტიკური განცხადებების ნაცვლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი პროცედურები დაიცვან.

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ" ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად. ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფი შედგება ტრანსპორტირების, განაწილების ლიცენზიატისა და მიმწოდებლის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი, რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას) და მასთან გააფორმოს ხელშეკრულება ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე. ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა მომხარებელს არ შეუძლია. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით მომხმარებლის მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ბუნებრივი გაზის ნებისმიერ მიმწოდებელს შორის ურთიერთობას. თუ მომხმარებლის მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მიმწოდებელთან ურთიერთობა, რომელიც მას ამჟამად აწვდის ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი №1-ში მომხმარებლისთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*). შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

## საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2016 წლისთვის

ცხრილი N1

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.) | **მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენი" | ქ.თბილისი, ქაზბეგის ქ. №13; | 0(32) 294 54 30 | არასაყოფაცხოვრებო 4 755 000 | არასაყოფაცხოვრებო 69.233 - 73.833 |
| 2 | შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი" | მიცკევიჩის ქ.№18ა; | 114<br>0(32) 220 04 04<br>faqsi 0(32) 237 64 93<br>ტელ.0(32)237 63 80<br>support@ktg-tbilisi.ge | საყოფაცხოვრებო 513 000 000<br>არასაყოფაცხოვრებო 214 000 000 | საყოფაცხოვრებო - 25.721<br>არასაყოფაცხოვრებო 50.619 - 70.383 |
| 3 | შპს „სოკარ ჯორჯია გაზი" | ქ. თბილისი, 300 არაგველის ქ.№24; | 16 114 114 | საყოფაცხოვრებო 256 534 091<br>არასაყოფაცხოვრებო 96 317 260 | საყოფაცხოვრებო 25.704 - 39.887<br>არასაყოფაცხოვრებო 38.804 - 69.772 |
| 4 | სს „საქორგგაზი" | ქ. თბილისი, ქაზბეგის ქ. №13; | 2 54 94 30 | საყოფაცხოვრებო 6 745 103<br>არასაყოფაცხოვრებო 4 566 399 | საყოფაცხოვრებო - 26.381 - 31.0<br>არასაყოფაცხოვრებო 53.932 - 66.644 |
| 5 | სპს „მღებრიშვილი" | გურჯ. რ-ნი, ს. ველისციხე, 9 აპრილის ქ.№31; | 595 15 39 10<br>veligaz111@mail.ru | საყოფაცხოვრებო 1 070 000<br>არასაყოფაცხოვრებო 30 000 | საყოფაცხოვრებო - 26.382<br>არასაყოფაცხოვრებო - 73.967 |
| 6 | სს „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია" | ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქ.№74ბ; | 0(32) 291 53 15(115) | საყოფაცხოვრებო 8 250 000<br>არასაყოფაცხოვრებო 45 750 000 | საყოფაცხოვრებო - 26.382<br>არასაყოფაცხოვრებო 61.97 - 74.49 |
| 7 | შპს „სართიჭალის გაზი" | გარდაბნის რ-ნი, სოფ.სართიჭალა, კოსტავას ქ.№145; | 0(790) 47 55 77;<br>591 97 77 57;<br>sartichalisgazi@mail.com | საყოფაცხოვრებო 2 700 000<br>არასაყოფაცხოვრებო 650 000 | საყოფაცხოვრებო 26.38 - 28.11<br>არასაყოფაცხოვრებო 67.42 - 74.62 |
| 8 | სს „ენერგოკავშირი" | ქ. თბილისი, მუხიანი, I მ/რ, კორპ. №13 | 0(32) 264 28 69<br>599 97 28 18<br>energokavshiri@caucasus.net | საყოფაცხოვრებო 9 800 000<br>არასაყოფაცხოვრებო 700 000 | საყოფაცხოვრებო - 26.382<br>არასაყოფაცხოვრებო - 59.855 |
| 9 | შპს „გოგოჭური და კომპანია" | გარდაბანი, სოფ. გამარჯვება; | 592 80 40 10<br>otupuria@mail.com | არასაყოფაცხოვრებო 3 500 000 | არასაყოფაცხოვრებო 69.15 |
| 10 | შპს „არზუ-გაზი" | გარდაბნის რ-ნი, სოფ.ვახტანგისი; | 599 16 03 56 | საყოფაცხოვრებო 300 000 | საყოფაცხოვრებო - 26.382 |
| 11 | სს „საჩხერეგაზი" | ქ. საჩხერე, თამარ მეფის ჩიხი №8; | 8(435) 22 51 15<br>sachkeregazi@yahoo.com | საყოფაცხოვრებო 4 550 000<br>არასაყოფაცხოვრებო 2 500 000 | საყოფაცხოვრებო 24.665 - 38.05<br>არასაყოფაცხოვრებო 80.59 - 85.51 |
| 12 | შპს „აჭარის ბუნებრივი აირი" | ქ. ბათუმი, ჯინჭარაძის №14; | 0(422) 27 76 46<br>577 76 76 98 | საყოფაცხოვრებო 60 000<br>არასაყოფაცხოვრებო 600 000 | საყოფაცხოვრებო 26.383 - 35.086<br>არასაყოფაცხოვრებო 69.238 - 73.339 |
| 13 | შპს „გაბს" | ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67; | 0(32)224 25 90,<br>nininikuradze@yahoo.com | არასაყოფაცხოვრებო 1 500 000 | არასაყოფაცხოვრებო 88.79 - 91.5 |
| 14 | შპს „ყამარი მ" | ქ. თბილისი, მუხიანი 2, გამარჯვების ქ. №2; | 595 25 05 00<br>595 13 32 33<br>555 17 85 10<br>557 76 90 87 | საყოფაცხოვრებო 1 850 000<br>არასაყოფაცხოვრებო 150 000 | საყოფაცხოვრებო - 26.48<br>არასაყოფაცხოვრებო - 63.77 |
| 15 | შპს „ვარკეთილაირი" | ქ.თბილისი, ვარკეთილი 3, სოფ. პატარა ლილო; | 0(32)227 50 40<br>577 37 30 33<br>varketilairi@gmail.com | საყოფაცხოვრებო 14 000 000<br>არასაყოფაცხოვრებო 800 000 | საყოფაცხოვრებო - 27.431<br>არასაყოფაცხოვრებო - 72.0 |
| 16 | შპს „დიდი დიღომი" | ქ.თბილისი, დიდი დიღომი დ. თავდადებულის ქ. №22; | 0(32) 253 34 36,<br>info@didi-digomgaz.ge | საყოფაცხოვრებო 10 500 000<br>არა საყოფაცხოვრებო 500 000 | საყოფაცხოვრებო - 27.431<br>არასაყოფაცხოვრებო - 69.72 |
| 17 | შპს „ტაბა" | ქ.თბილისი, ტაბახმელა; | 599 94 59 03<br>593 22 99 61 | საყოფაცხოვრებო 320 000<br>არასაყოფაცხოვრებო 22 800 | საყოფაცხოვრებო - 27.44<br>არასაყოფაცხოვრებო - 64.915 |
| 18 | შპს „ლიაკუბი"-ი | გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალა; | 551 18 90 66 | საყოფაცხოვრებო 10 000<br>არასაყოფაცხოვრებო 860 000 | საყოფაცხოვრებო - 26.377<br>არასაყოფაცხოვრებო 69.746 - 78.746 |
| 19 | შპს „ენერგია +" | ქ. ქუთაისი, ზ.გამსახურდიას ქ.№58; | 577 90 06 62 | არასაყოფაცხოვრებო 2 500 000 | არასაყოფაცხოვრებო - 66.3 |
| 20 | შპს „გასკოპ+" | სენაკი, წმ. ნინოს ქ. №1; | 114 (0 413 27 89 14)<br>gaskopliusi@mail.ru | საყოფაცხოვრებო 2 000 000<br>არასაყოფაცხოვრებო 1 500 000 | საყოფაცხოვრებო - 26.382<br>არასაყოფაცხოვრებო - 63.415 |
| 21 | შპს „ეკრიანი 2006" | გარდაბანი, ს. მარტყოფი; | 595 58 65 86 | საყოფაცხოვრებო 534 350<br>არასაყოფაცხოვრებო 22 802 | საყოფაცხოვრებო - 26.383<br>არასაყოფაცხოვრებო 72.149 |
| 22 | შპს „ჩირაღდანი XXI საუკუნე" | ქ. თბილისი, ქიზიყის ქ.№59; | 0(32) 254 12 37 | საყოფაცხოვრებო 1 949 888<br>არასაყოფაცხოვრებო 150 800 | საყოფაცხოვრებო - 27.43<br>არასაყოფაცხოვრებო 73.05 |
| 23 | შპს „ვერსალი" | სიღნაღის რ-ნი, სოფ.ბოდბე; | 599 77 33 20 | საყოფაცხოვრებო 680 000<br>არასაყოფაცხოვრებო 10 000 | საყოფაცხოვრებო - 26.382<br>არასაყოფაცხოვრებო - 72.992 |
| 24 | შპს „წალკაგაზი" | ქ.წალკა, ხრამჰესის ქ. №8; | 0(363) 22 10 41<br>vaferian44@mail.ru | საყოფაცხოვრებო 230 000<br>არასაყოფაცხოვრებო 320 000 | საყოფაცხოვრებო - 26.4<br>არასაყოფაცხოვრებო - 70.8 |
| 25 | შპს „ბორჩალო+" | ქ. თბილისი, თემქა, მკ–11 მ/რ, კორპ.16, ბინა 13; | 599 92 35 45 | საყოფაცხოვრებო 235 000<br>არასაყოფაცხოვრებო 15 000 | საყოფაცხოვრებო - 26.38<br>არასაყოფაცხოვრებო 82.81 |
| 26 | შპს „ეს ჯი გაზ კომპანი" | ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ.№100; | 599 32 53 98 | საყოფაცხოვრებო 14 500 000<br>არასაყოფაცხოვრებო 3 500 000 | საყოფაცხოვრებო - 26.4<br>არასაყოფაცხოვრებო - 78.8 |
| 27 | შპს „ჩირაღდანი" | ლაგოდეხი სოფ. ცოდნისკარი; | 599 91 38 93 | საყოფაცხოვრებო 200 000 | საყოფაცხოვრებო 26.382 |
| 28 | შპს „ვაკე" | ქ. თბილისი ელ.ახვლედიანის ქ. №30; | 591 25 18 52<br>ltdvake@mail.ru | საყოფაცხოვრებო 450 000<br>არასაყოფაცხოვრებო 100 000 | საყოფაცხოვრებო 27.432 - 30.198<br>არასაყოფაცხოვრებო - 75.105 |
| 29 | შპს „მამედ | მარნეული სოფ. ყიზილაჯლო; | 577 42 64 75<br>mamed1947@mail.ru | საყოფაცხოვრებო 1 300 000<br>არასაყოფაცხოვრებო 305 000 | საყოფაცხოვრებო 26.864 - 33.397<br>არასაყოფაცხოვრებო - 75.169 |

* თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** მიმწოდებელის მიერ მომხმარებლის თითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებულ მიწოდების ზღვრულ ფასებში (ქვედა და ზედა ზღვარი) შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (ამ ფასში არ შედის განაწილების ან/და გატარების მომსახურების ტარიფი). ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების მოქმედი ტარიფები დადგენილია „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკის მარეგულიერებლი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. №19; ტელ: +995 032 2 42 01 80



# პარლამენტმა პროკურატურის რეფორმის კანონპროექტს კენჭი უყარა

რეფორმით შემოთავაზებული მოდელის თანახმად, პროკურატურის საერთო ხელმძღვანელობას იუსტიციის მინისტრი საპროკურორო საბჭოს მეშვეობით განახორციელებს, მთავარი პროკურორის დანიშვნის უფლებამოსილება კი გადანაწილდება საპროკურორო საბჭოზე, მთავრობასა და პარლამენტზე.

საპროკურორო საბჭო შედგება 15 წევრისგან, რომელთაგან 8 წევრს აირჩევს საქართველოს პროკურორთა კონფერენცია წარმომადგენლობითობის პრინციპის დაცვით. 8 წევრიდან 1/4 მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის. დანარჩენი წევრები არიან: ერთი დეპუტატი საპარლამენტო უმრავლესობიდან; ერთი დეპუტატი პარლამენტის იმ წევრებიდან, რომლებიც უმრავლესობაში არ შედიან; ორი მოსამართლე, რომელთაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეარჩევს; ორი წარმომადგენელი აკადემიური წრეებიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან, რომელთაც აირჩევს პარლამენტი იმავე კრიტერიუმებისა და წესების დაცვით, რომლითაც აირჩევიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრები. საბჭოს უხელმძღვანელებს იუსტიციის მინისტრი.

საბჭოს ექნება უფლება, დაამტკიცოს საქართველოს მთავარი პროკურორის კანდიდატურა, დანიშნოს საგანგებო პროკურორი, წარუდგინოს პარლამენტს მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების წინადადება, განახორციელოს მთავარი პროკურორისა და მისი მოადგილეების წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოება. საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში საპროკურორო საბჭო არ ჩაერევა.

იუსტიციის მინისტრი აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წევრებსა და სამართლის დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციების შედეგად საპროკურორო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავარი პროკურორის არანაკლებ სამ კანდიდატურას, საიდანაც ერთ-ერთს საბჭო ფარული კენჭისყრით ხმათა 2/3-ით დაამტკიცებს და წარუდგენს მთავრობას, შემდეგ კი პარლამენტს. მთავარი პროკურორის უფლებამოსილების ვადა 6 წელია. ერთი და იგივე კანდიდატის ზედიზედ ორჯერ არჩევა მთავარ პროკურორად იკრძალება.

მთავარი პროკურორის ვადამდე გათავისუფლება მოხდება მის ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოვლენის ან სერიოზული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. თუ იარსებებს საკმარისი საფუძველი დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ მთავარმა პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა, დაინიშნება საგანგებო პროკურორი, რომელიც ორი თვის ვადაში მოამზადებს და საბჭოს წარუდგენს შესაბამის დასკვნას. თუკი დასკვნა დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებულ ვარაუდს არ დაადასტურებს, საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილად ჩაითვლება. თუკი საბჭო წევრთა 2/3-ის უმრავლესობით ფარული კენჭისყრით დაადასტურებს მთავარი პროკურორის მიერ დანაშაულის სავარაუდო ჩადენას, ის მიმართავს პარლამენტს, რომელიც წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით გადაწყვეტს მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

# ხაბაძე ნაციონალებისა და ვასაძის სპექტაკლში მონაწილეობას არ აპირებს

აჭარის უმაღლეს საბჭოში კვორუმის არარსებობის გამო სხდომა ჩაიშალა. რეგისტრაცია გაიარა „ქართული ოცნების" 9 დეპუტატმა, თუმცა კვორუმისთვის საჭირო იყო 11 დეპუტატის რეგისტრაცია.

„თავისუფალი დემოკრატებისა" და ნაციონალური მოძრაობის წევრებმა რეგისტრაციის გავლაზე უარი განაცხადეს.

როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრმა პეტრე ზამბახიძემ განაცხადა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე დაბარებული იყო ანგარიშის წარსადგენად და სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით კითხვებზე პასუხების გასაცემად, თუმცა სხდომაზე არ მივიდა.

ზამბახიძის თქმით, „სხდომა ჩაშალა არჩილ ხაბაძემ, რადგან ის პრობლემებზე სასაუბროდ აჭარის საკანონმდებლო ორგანოს ემალება".

ამასთან, არჩილ ხაბაძემ უკრაინის, ნიკოლაევის ოლქის სახელმწიფო ადმინისტრაციასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობისთვის მემორანდუმის გაფორმების ღონისძიებაზე განაცხადა, რომ უმაღლეს საბჭოში არ გამოცხადდებოდა. არჩილ ხაბაძემ აღნიშნა, რომ ნაციონალური მოძრაობისა და დეპუტატ მედეა ვასაძის სპექტაკლში მონაწილეობას არ მიიღებს და უმაღლეს საბჭოში ანგარიშით წლის ბოლომდე წარსდგება.

# ზოგიერთი მედიასაშუალება დემაგოგიური განცხადებებით განათლების სამინისტროს დისკრედიტაციას უწყობს ხელს

„სამწუხაროა, რომ წილკნის ახლად გახსნილ საჯარო სკოლაში პრემიერის ვიზიტისას, რამდენიმე ინტერნეტგამოცემამ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ფრაზას. პრემიერთან საუბარში მინისტრმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ განსაკუთრებით ხელმოკლე ოჯახებისთვის უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების დარიგება უმნიშვნელოვანესია, რადგან სახელმძღვანელოების შეძენა არცთუ მცირე თანხებს უკავშირდება. შესაბამისად, მან პრემიერს განუმარტა, რომ მართალია, სახელმძღვანელოების ნაწილი ახალი, ნაწილი კი, მაღალი ქულებით არის შეფასებული, მაგრამ მთავარი ბავშვების წიგნებით უზრუნველყოფაა", — ნათქვამია განცხადებაში.

სამინისტრო მედიასაშუალებებს მოუწოდებს, ყურადღებით მოეკიდონ მსგავს თემებს, რადგან მოსწავლეებთან დაკავშირებული ყველა საკითხი მეტად სენსიტიურია.

# სადაც პაპუაშვილი წავა, აქციას იქ გაიმართება...



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის საცხოვრებელ სახლთან აქციის დროს, კერძოდ, კვერცხებისა და პამიდვრების სროლისთვის ერთი პირი დააკავეს.

დაკავებულია მერაბ ღოღობერიძე, რომელიც ბათუმში, გორგილაძის ქუჩაზე მიმდინარე აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

დაკავებული ქალაქ ბათუმის პოლიციის მეორე განყოფილებაში ჰყავდათ. ღოღობერიძე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით არის დაკავებული, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

გიორგი პაპუაშვილის სახლთან მიმდინარე აქციის მონაწილეებმა მსვლელობით საკონსტიტუციო სასამართლოს შენობასთან გადაინაცვლეს. უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე აცხადებს, რომ სადაც გადაინაცვლებს გიორგი პაპუაშვილი, აქცია იქ გაიმართება.

აქციის მონაწილეები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით.

# ერთ დღეში სარეკორდო რაოდენობის ყურძენი გადამუშავდა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ამ დროისთვის კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 11,5 ათას ტონამდე ყურძენი. მათ შორის, 3 500 ტონამდე რქაწითელი, 4 200 ტონამდე საფერავი, 610 ტონამდე კახური მწვანე და 3 200 ტონაზე მეტი სხვა ჯიშის ყურძენი.

განვლილი დღე-ღამის განმავლობაში გადამუშავდა რთველის დაწყებიდან ყველაზე დიდი რაოდენობა — 2,2 ათას ტონამდე ყურძენი. რთველი, შეფერხების გარეშე, კახეთის თითქმის ყველა რაიონში მიმდინარეობს. რთველში მოგვიანებით ჩაერთვება საგარეჯოს რაიონიც. კახეთში ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია 31 ღვინის მწარმოებელი კომპანია, მათ შორის, 11 სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ღვინის საწარმო. ყურძნის გადასამუშავებლად მზადყოფნის მიზნით, ამ დროისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში სულ დერეგისტრირებულია 94 ღვინის კომპანია.



# კვიტაშვილი უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად რჩება

უმაღლესმა რადამ ალექსანდრე კვიტაშვილი უკრაინის ჯანდაცვის მინისტრის პოსტიდან ვერ გადააყენა. როგორც უკრაინული მედია იტყობინება, დეპუტატებმა შესაბამის გადაწყვეტილებას ოთხჯერ უყარეს კენჭი, თუმცა კვიტაშვილის პოსტიდან გასათავისუფლებლად საკმარისი ხმა ვერ შეგროვდა.

უკრაინელი დეპუტატების წინაშე თავად მინისტრიც წარდგა და შეახსენა მათ, რომ გადადგომის შესახებ განცხადება ჯერ კიდევ ორი თვის წინ დაწერა. „სავარძელს არ ვეჭიდები და არც კარიერის გასაკეთებლად არ მოვსულვარ", — განაცხადა კვიტაშვილმა.

როგორც გამოცემა „უკრაინსკაია პრავდა" წერს, ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ უკრაინის პატრიოტია და მზად არის, ქვეყნისთვის მომავალშიც იმუშაოს, თუმცა ჯანდაცვის რეფორმებს ვერ ატარებს იმის გამო, რომ ჯანდაცვის საკითხების საპარლამენტო კომიტეტი ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო შესყიდვების პროცესს აფერხებს. „ამ კომიტეტთან მუშაობა არ შემიძლია", — აღნიშნა კვიტაშვილმა. ალექსანდრე კვიტაშვილი უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად გასული წლის ბოლოს დანიშნეს.

# აზერბაიჯანი „ევრონესტის" ასამბლეას ტოვებს

„ევრონესტის" საპარლამენტო ასამბლეის თანაპრეზიდენტები ჰაიდი ჰაუტალა და ვიქტორ დოლიძე მწუხარებას გამოთქვამენ აზერბაიჯანის პარლამენტის — მილი მეჯლისის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, რომლის მიხედვითაც, აზერბაიჯანმა „ევრონესტის" საპარლამენტო ასამბლეადან გასვლის პროცედურები უნდა დაიწყოს.

„ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა რჩება აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივ საპარლამენტო სივრცედ. ის გააგრძელებს ფუნქციონირებას ინტეგრაციისა და ღიაობის სულისკვეთებით, იმისათვის რომ მოხდეს საჭირო პირობების მხარდაჭერა ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპელ პარტნიორებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის დასაჩქარებლად", — ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში. „ევრონესტის" საპარლამენტო ასამბლეის თანაპრეზიდენტები ასევე განმარტავენ, რომ ასამბლეაში მონაწილეობა პარტნიორი ქვეყნებისთვის არ არის სავალდებულო.

„ჩვენ პატივს ვცემთ აზერბაიჯანის მილი მეჯლისის გადაწყვეტილებას ასამბლეადან გასვლის შესახებ. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ეს ნაბიჯი არის სამწუხარო, — აღნიშნულია განცხადებაში. აზერბაიჯანის პარლამენტმა რამდენიმე დღის წინათ მხარი დაუჭირა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც ევროკავშირისა და ალმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეაში აზერბაიჯანის წევრობის შეჩერების პროცედურა დაიწყება. აზერბაიჯანმა ევროკავშირთან თანამშრომლობის შეჩერება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც 10 სექტემბერს ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, რომლითაც აზერბაიჯანში სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები დაგმო და დაპატიმრებულ უფლებადამცველთა და ჟურნალისტთა გათავისუფლება მოითხოვა.



# ახალი გზები სამცხე-ჯავახეთში

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ამაშუკელი სამცხე-ჯავახეთში მიმდინარე და დასრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ადგილზე გაეცნო.

გიორგი ამაშუკელმა მხარის გუბერნატორთან აკაკი მაჭუტაძესთან და ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეებთან ანზორ სვანიძესა და რევაზ კალაძესთან ერთად ბორჯომში, სოფელ ცემში გზის 2-კილომეტრიან მონაკვეთზე ბეტონის გზის მშენებლობის პროცესი დაათვალიერა.

საკურორტო ზონაში არსებულ სოფელში, სადაც წლების განმავლობაში არსებობდა შიდა გზის პრობლემა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურიზმის განვითარებას.

მიმდინარე წელს რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით სამცხე-ჯავახეთში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 14 მილიონი ლარი იხარჯება. ამ დროისთვის სამუშაოების 80% უკვე დასრულებულია, წლის ბოლომდე კი ყველა პროექტის ჩაბარება იგეგმება.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად მხარეში 11 მილიონი ლარია გამოყოფილი და ჯამში 32 კმ. სიგრძის გზა დაიგება. ხოლო 3 მილიონი ლარი სასმელი წყლის სისტემების 58-კილომეტრიანი მაგისტრალის რეაბილიტაციას მოხმარდება. სულ მხარის მასშტაბით რეგიონული პროექტების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული 720 მცირე, საშუალო და მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

# ნაციონალთა პრეტენზიები სუფთა წყლის დემაგოგიაა!



**ალექსანდრე თვალჭრელიძე:**

**თუ მთავრობა 2016 წლის თებერვლამდე ეროვნული ბანკის გაუგებარ ქმედებებს მოერევა და რეალურის ჩარჩოებს დაუბრუნებს, ყველაფერი გამოსწორდება**

**საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე დღეს საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ალექსანდრე თვალჭრელიძე გვესაუბრება.**

**— ბატონო ალექსანდრე, ვინაიდან ახლა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა ყურძნის ჩაბარების ფასია, ალბათ უპრიანიც იქნებოდა, საუბარი ამ თემით დაგვეწყო. ხელისუფლება მევენახეთა ბუნტს კახეთში „ნაციონალებს" აბრალებს, „ნაციონალები" კი ხელს ხელისუფლებისკენ იშვერენ. თქვენ როგორ შეაფასებდით ყურძნის ფასთან დაკავშირებით ატეხილ ხმაურს?**

— უკვე ტრადიციულად ხელისუფლება ვერ ახერხებს მოსახლეობისთვის, ვიტყოდი, საკმაოდ სამართლიანი პოზიციის ახსნას — პიარის არარსებობა მთავრობის გამოუსწორებელი (თუ არა გამოუსწორებადი) ნაკლია. რთველთან დაკავშირებით რამდენიმე გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი. პირველი, „ნაციონალებისაგან" განსხვავებით, რომლებიც გლეხებს იძულებით დაბალ ფასად აბარებინებდნენ ყურძენს, ამჟამინდელი მთავრობა ახორციელებს ყურძნის შესყიდვებში თანამონაწილეობას იგივე ოდენობით, რაც შარშან. მაგრამ წლევანდელი 35 თუ 15 თეთრი სულ სხვა ყიდვის უნარიოანობისაა, ვიდრე შარშანდელი, რაც ჩვენი ეროვნული ბანკის წლევანდელი „მიღწევაა." ამიტომ ასეთი თანადაფინანსება მოსახლეობას არასაკმარისად მიაჩნია. ძალიან ძნელია, ცალსახად გამოავლინო მტყუანი და მართალი. ყურძნის ფასი მოლაპარაკების საგანი უნდა გახდეს მთავრობასა და მევენახეებს შორის, თანაც უმოკლეს ვადაში. ისე, როდემდე უნდა ახორციელებდეს მთავრობა რთველის სუბსიდირებას? ეს ხომ ეკონომიკური თვალსაზრისით წყალში გადაყრილი ფულია — მთავრობა აძლევს შესაძლებლობას მევენახეებს, უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვევით არ მოექცნენ, მაგრამ ეს სუბსიდირების ფული არ ხმარდება არც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, არც ვენახების მოსავლიანობის გაზრდას. პრინციპში, ეს სიღარიბის შემწეობაა და სხვა არაფერი. ერთადერთი გამოსავალი ამ ჩიხური სიტუაციიდან იქნებოდა სანედლეულო ბირჟის, ამ შემთხვევაში —ყურძნის ბირჟის დაფუძნება და კანონის შემოღება, რომ ყველა საბითუმო შესყიდვები თანამედროვე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით (ჰეჯინგი, ფიუჩერსული კონტრაქტები, ოფციონები და სხვა) მხოლოდ ასეთ ბირჟაზე უნდა ხორციელდებოდეს.

**— ხელისუფლება „ნაციონალებს" შემოდგომაზე სახალხო ბუნტის მზადებაში ადანაშაულებს. ასეთი შთაბეჭდილება მართლაც რჩება. ძნელი სათქმელია, ბუნტი შედგება თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ სხვადასხვა უკმაყოფილო ფენების პრობლემების საჯარო სივრცეში გამოტანას და ხელისუფლების დისკრედიტაციას „ნაციონალები" მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებენ. რამდენად დიდია ალბათობა, რომ შემოდგომაზე ეკონომიკური პრობლემების გამო სოციალური ბუნტის მომსწრენი გავხდეთ? ამის წინაპირობა გახლავთ გაძვირებული ტარიფი დენზე, ლარის უპრეცედენტო ვარდა და სამომხმარებლო კალათის გაძვირება...**

— მე რეალური ბუნტის არ მჯერა — „ნაციონალებს" ამის არც ადმინისტრაციული და არც საორგანიზაციო რესურსი არ გააჩნიათ, ასევე, არა აქვთ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა საზოგადოებაში. იქნება ყვირილი და წივილ-კივილი, შეიძლება ცოტაოდენი ცემა-ტყეპაც, რომელიც უშედეგოდ დასრულდება. მაგრამ არის მეორე რეალობაც. მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც არ გაყვება ნაციონალებს," მაინც მთავრობის ქმედებებით, უფრო სწორად კი უმოქმედობით აშკარად უკმაყოფილოა. ასეთი უკმაყოფილების შედეგი, ჩემი აზრით, წლევანდელ შემოდგომას კი არა, 2016 წლის შემოდგომაზე გამოვლინდება, როცა ამომრჩეველი საარჩევნო ყუთთან მივა. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ, რომ შეგვიძლია, არჩევნებით შევცვალოთ ხელისუფლება და ეს გაკვეთილი, დარწმუნებული ვარ, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გაცნობიერებული აქვს: მან იცის, რომ Vox populi, vox Dei. (ხმა ღვთისა და ხმა ერისა).

**— „ნაცმოძრაობა" ხელისუფლებას პოლიტიკური ოპონენტების დევნაში ადანაშაულებს და საქმის ვითარებას ისე წარმოაჩენს, რომ მევენახეთა ინტერესების დამცველი სწორედ წინა ხელისუფლებაა. არადა, კარგად გვახსოვს, რომ მათი მმართველობის დროს კახეთში ყურძნის ფასი 35-50 თეთრზე მეტი არც ყოფილა. მეტიც, წინა ხელისუფლება ამ დარგს არა თუ ჯეროვნად არ ეხმარებოდა, გლეხებს ვენახის გაჩეხვის სანაცვლოდ 2 ათას ლარს სთავაზობდა და ერთი პერიოდი ეს კამპანია საკმაოდ მასშტაბურიც იყო. ახლა არც იმას აღარავინ იხსენებს, რომ გასულ წელს კახელმა მევენახეებმა 170 მილიონი ლარი მიიღეს. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ საქართველოში ხელისუფლება ოთხჯერ შეიცვალა, მაგრამ პრობლემა იმასაც ხომ არ უკავშირდება, რომ არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონია მევენახეობის დარგის განვითარებასთან დაკავშირებული გრძელვადიანი პროგრამა და სტრატეგია და როგორც ჩანს, იგი რეალურად დღესაც არ არსებობს?**

— მე უკვე ყურს მიჭრის ტერმინი „პოლიტიკური დევნა". რეალური პოლიტიკური დევნის შესახებ ჰკითხეთ ბატონებს სულხან მოლაშვილსა და დავით მირცხულავას. იმათ კი, ვინც პოლიტიკური დევნის შესახებ ხმის ამოღებას ბედავს, შევახსენებდი, როგორ უკრავდნენ ისინი ტაშს ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპის დამკვიდრებას. მევენახეთა პრობლემის გადაჭრის გზა კი მე პირველ კითხვაზე პასუხის გაცემისას დაგისახეთ.

**— ვითარებაში, როცა რუსეთს როცა მოესურვება, მაშინ შეუძლია ქართულ ღვინოს ნაწილობრივ, ანაც სულ დაადოს ემბარგო, ლოგიკურად გამოიყურება ხელისუფლების „ნაციონალი" ოპონენტების მიერ დასმული კითხვა — რა გააკეთა ხელისუფლებამ, რომ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა რუსულ ბაზარზე არ ყოფილიყო მიბმული? ამ კითხვას მე სხვა კითხვებსაც დავამატებდი — რატომ არ ვიყენებთ ჩინურ ბაზარს, რომელიც რუსულს 15-ჯერ აღემატება, ქართულ ბიზნესს რატომ აქვს დათმობილი საქართველოს არყის ბაზარი რუსეთისა და უკრაინის სპირტის მწარმოებლებისათვის? რატომ ვერ აქცია ქართულმა ბიზნესმა „ჭაჭა" იმ ბრენდად, რომელიც არა მარტო ქართულ, არამედ სხვა ბაზრებზეც მეტ-ნაკლები წარმატებით გავიდოდა? ბოლო კითხვა იმას უკავშირდება, რომ ზაფხულში ჩვენთან ჩამოსული რუსი ტურისტები გაოცებას ვერ მალავდნენ იმის გამო, რომ ჩვენს მარკეტებში „ჭაჭას" ვერ პოულობდნენ...**

— არ გავიდოდა „ჭაჭა" სხვა ბაზარზე, როგორც ვერ გადის თუნდაც იტალიური „გრაპა." ისე, თქვენი კითხვა ძალიან რთულია, მაგრამ მაინც შევეცდები, მოკლედ მოგახსენოთ.

პრობლემა იწყება 1998 წელს, როცა ფუძნდებოდა TACIS-ის დაფინანსებით ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო, რომელიც სწორედ ღვინის ექსპორტზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული. არ ვიცი, კორუფციული თუ რაღაც სხვა მოსაზრებებით, ტენდერი, ფრანგული კომპანიის ნაცვლად, ირლანდიურ კომპანიას მოაგებინეს. არ სვამენ ირლანდიელები ღვინოს, ხოლო ღვინისა და ვისკის ბაზარი პრინციპულად განსხვავებულია. არც ჩინელი და არც საერთოდ შორეული აღმოსავლეთის მოსახლეობა, თუ არ ჩავთლით საერთაშორისო ბიზნესში ჩართულ კლერკთა კასტას, არ სვამს ღვინოს, ბრინჯის არაყს ან კიდევ იაფ იაპონურ ვისკის ეტანება.

მოსახლეობის უმრავლესობა ღვინოს სვამს ლათინურ ამერიკაში, ხმელთაშუა ზღვის აუზში, მაგრიბის ქვეყნებში, სამხრეთ აფრიკაში და ავსტრალიაში. მაგრამ, ყველა ამ ქვეყანას თავისი საკმაოდ კარგი ღვინო აქვს, ძირითად, კაბერნე სოვინიონის ყურძნის ბაზაზე. ამიტომ ჩვენთვის ბუნებრივი ბაზარი, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების გარდა, იქნებოდა აშშ-ის სამხრეთი შტატები, ამ ქვეყნის „თეთრი საყელოები", თუ შემოქმედებითი ინტელექტუალები. ირლანდიურმა კომპანიამ კი ბრიტანეთში სცადა ქართული ღვინის ექსპორტირება, დრო დაკარგა და ჩემს მიერ ნახსენები ბაზარი იაფმა ჩილეურმა და ავსტრალიურმა ღვინოებმა დაიკავა. აი, ასე ერთი საბედისწერო შეცდომის გამო, ჩვენ იმ დროს ჯერ კიდევ თავისუფალი ბაზარი დავკარგეთ და ახლა სიტუაციის გამოსწორება ძალიან ძნელი და ძალიან ძვირია. აღნიშნულიდან ჩანს, რომ „ნაციონალების" პრეტენზიები სუფთა წყლის დემაგოგიაა.

**— პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო, რომელიც ეროვნული ბანკიდან ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფის შესახებ კანონს ეხებოდა. ფაქტია, რომ ლარის კურსი ვარდნა-გაუფასურებას აგრძელებს. რამდენად დიდია ალბათობა, რომ ეროვნული ბანკის დაქვემდებარებიდან ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფა ლარის კურსის ვარდნაზე დადებითად აისახება და რამდენად რეალისტურად გამოიყურება არაოპტიმისტური პროგნოზი, რომ წლის ბოლოს 1 დოლარი 3 ლარი ეღირება?**

— არ ვიცი, რა მოხდება, ეს ჩვენი ხელისუფლების ქმედითუნარიანობაზე იქნება დამოკიდებული. თქვენთან რამდენიმე ინტერვიუში ლარის კურსის მერყეობის მიზეზები დეტალურად ავხსენი და ამის გამეორებას აღარ ვაპირებ. თუ მთავრობა 2016 წლის თებერვლამდე ეროვნული ბანკის გაუგებარ ქმედებებს მოერევა და რეალურის ჩარჩოებს დაუბრუნებს, ყველაფერი გამოსწორდება, თუ არა და...

**— ხელისუფლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ქადაგიძეს სერიოზულ ბრალდებებს უყენებს. თქვენი აზრით, დაიწყებს თუ არა ხელისუფლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის საქმიანობის შესწავლას და აღიძრება თუ არა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე?**

— მე ამას მთავრობის ადგილზე ერთი წლის წინათ გავაკეთებდი.

**— ოპოზიცია საკონსტიტუციო კომისიის სხდომის მოწვევას და უმრავლესობის მიერ ინიცირებული საკითხის განხილვას ითხოვს. ამ თემაზეც უკვე ბევრი ითქვა, მაგრამ თქვენი აზრით, რა ხდეება?**

— დიდი არაფერი არ ხდება, ოპოზიციის მოთხოვნები მხოლოდ ამომრჩეველის გადმობირებას ისახავს მიზნად, რაც მათ საშუალებას მისცემდა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში გარკვეულ მაჟორიტარულ ოლქებში მიეღწიათ გამარჯვებისთვის. მაჟორიტარების საკითხი 2020 წლის არჩევნებისთვის გადაწყდება.

ესაუბრა

**კობა ბენდელიანი**

# მატროსოვის ქუჩის ვნებები...

**(პირველი გვერდიდან)**

ძნელია არ გაგახსენდეს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის ფრაზა, რომელიც მან 2013 წლის 17 მარტს, რადიო „თავისუფლების" პრაღის ბიუროში, ნაცების მიერ დაანონსებულ აქციამდე ორი დღით ადრე გააკეთა: **„ნაციონალური მოძრაობის, როგორც ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანა".**

ჰოდა რატომ გიკვირთ თუ ლარის კურსი 2,5-ს გასცდა, კახეთში მევენახეების აჯანყებაა (გასული სამშაბათის „არჩევანის" სათაური), უგულავას მალე გმირად შერაცხავენ და ა.შ.

ხელისუფლებამ დაკარგა ხალხთან კომუნიკაციის ბერკეტები და ეს ბერკეტები ნაცებმა ჩაიგდეს ხელში.

არა, მე მხოლოდ ელექტრონულ მედიაზე არ ვამბობ. მათ დაავიწყდათ თუ როგორ უნდა ესაუბრონ ადამიანებს.

ვის სჭირდება ბრტყელ-ბრტყელი საუბრები საერთაშორისო კრიზისის შესახებ, ან რაღაც ციფრების უაზრო რახარუხი, როდესაც მაყურებელი კონკრეტულ პასუხს და რეალურ ქმედებას ელის?

საქართველოს პარლამენტის წევრმა გიგა ბუკიამ, გადაცემა „არჩევანში" იმის ნაცვლად, რომ კონკრეტულ შეკითხვებზე, კონკრეტული პასუხები გაეცა, წამყვანის მიმართ ვითომდა ირონიული გამოთქმების ფრიალი დაიწყო. დაწყებით კი დაიწყო, მაგრამ ვერც ირონიაში ივარგა. შეიძლება ვინმემ მითხრას, რომ დარბაზში მევენახეები კი არა, ნაცაქტივისტები ისხდნენო. მერე რა? მხოლოდ დარბაზში მსხდომებს ესაუბრებოდა ბუკია? მას ასიათასობით თვალი უცქერდა. უყურებდნენ არა მხოლოდ მევენახეები, არამედ მეციტრუსეები, მეხილეები. უყურებდნენ ქალაქის მცხოვრებლები, რომელთა მწირი შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზეც ნაწილდება.

რაც შეეხება ტელევიზიებს, ძალიან მაინტერესებს ვისი წყალობით აქვთ ჩაგდებული ხელში მთელი საინფორმაციო ველი ნაცებს?

რა თქმა უნდა, ისინი ამას შესანიშნავად იყენებენ და იმის ნაცვლად, რომ უგულავას პატიმრობაში დატოვებასთან დაკავშირებით ეკა ბესელიას, კახი კახიშვილის, ან რომელიმე კომპეტენტური იურისტის კომენტარი აჩვენონ მაყურებელს, გიორგი ვოლსკის „დინჯ" საუბარს ასმენინებენ და რაღა თქმა უნდა, რომ ის მესიჯები, რომლებსაც ნაცები რუსთავი 2-ის საშუალებით აგზავნიან, ადრესატამდე მიდის.

ვის უფრო დაუჯერებს თერჯოლელი გლეხი, გოგა ხაინდრავას, რომელიც ამბობს, რომ „პირველად გამოჩნდა საქართველოში ხელისუფლება, რომელიც პარტერში არ დგას" და „მიზანმიმართული შეტევა მიდის ბიძინა ივანიშვილზე", თუ გურჯაანელ მევენახეს, რომელიც პარლამენტში თოფაძის და ტყემალაძის კაბინეტის წინ დგას და ერთ-ორ სიტყვას „კახური სითბოთი" ამბობს?

ბასტილიის აღების შემდეგ ციხის ნანგრევების წინ დაიდგა ქანდაკება წარწერით „აქ ცეკვავენ". სამწუხაროდ საქართველოში ქანდაკება არ გვჭირდება, რადგანაც აქ ყველგან ცეკვავენ!

2016 წლამდე 100 დღეზე ნაკლები რჩება.

**გია გაბრიჭიძე**

კვალი ნათელი

# „მე რაც შევძელი, ვქმენი“...

## მამია დუმბაძე – 100



გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **მამია დუმბაძე** დაიბადა გურიის პატარა სოფელ ზენობანში 1915 წელს. 1938 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამთავრებს. 1943 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, 1957 წელს კი, სადოქტორო დისერტაცია. 1943 წლიდან მუშაობას იწყებს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, ეთნოლოგიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტში (მაშინ ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი). აქ იგი გარდაცვალებამდე – 1990 წლამდე მუშაობდა. სიცოცხლის ბოლო წლებში ისტორიის ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი იყო; 1958-დან 1989 წლამდე ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ერთ-ერთ წამყვან უჯრედს – საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებას. მაშინ ამ განყოფილებაში მოღვაწეობდნენ საქართველოს ისტორიის ცნობილი და წამყვანი მეცნიერები.

ბატონი მამიას კვლევის ძირითადი სფერო გახლდათ ახალი პერიოდის საქართველოს ისტორია. მან ცალკე გამოკვლევები მიუძღვნა დ. ბაქრაძის, ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის ღვაწლის შესწავლას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ფუნდამენტური მონოგრაფიები: „დასავლეთ საქართველო XIX ს-ის I ნახევარში“ (1957), „აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან“ (1953), „ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე“ (1950) და ა.შ.

პირველი სერიოზული მონოგრაფია, რომელიც მამია დუმბაძის კალამს ეკუთვნის, არის გამოკვლევა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის შესახებ. მონოგრაფიის შესავალში მ. დუმბაძე წერს, რომ ნაშრომის თავდაპირველი ვარიანტი მან შექმნა 1939 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლის დროს. თავის დროზე მისი ამ შრომის შესახებ ღირებული შენიშვნები გამოუთქვამს ივ. ჯავახიშვილს. ბ-ნი მამია ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ მან მოისმინა ივ. ჯავახიშვილისა და გ. ჩუბინაშვილის მოხსენებები, რომლებიც ს. ჯანაშიას ინიციატივით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა 1940 წლის 13 მარტს და დ. ბაქრაძის გარდაცვალებიდან 50 წლისთავს მიეძღვნა. ავტორი, დიმიტრი ბაქრაძის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი მომენტებიდან განსაკუთრებით გამოყოფს მის ადრევე ჩამოყალიბებულ პატრიოტულ სულისკვეთებას. მ. დუმბაძის სიტყვით, დიმიტრი ბაქრაძე აუცილებლად მიიჩნევდა ერის წარსულის ღრმა ცოდნას იმისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ერის მეობის დაცვა-შენარჩუნება. ამავე დროს, დ. ბაქრაძე ხაზს უსვამდა ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის მიზანმიმართულ აღზრდას, უპირველესად, საზოგადოების ინტერესებისათვის და არა საკუთარი, კერძო გამორჩენისათვის. მ. დუმბაძის გამოკვლევის თანახმად, დ. ბაქრაძე ევროპული დონის კრიტიკულ-მეცნიერული კვლევის დამნერგავი იყო საქართველოს ისტორიაში. ავტორმა წიგნს დაურთო აგრეთვე, დიმიტრი ბაქრაძის ყველაზე სრული შრომების ბიბლიოგრაფია.

მამია დუმბაძის შემდეგი მნიშვნელოვანი მონოგრაფია 1953 წელს გამოქვეყნდა. იგი ასეა დასათაურებული: „აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან.“ ამ ნაშრომში, მამია დუმბაძე ღრმად აანალიზებს იმ ვითარებას, რაც აღმოსავლეთ კახეთში, ისტორიული ჰერეთის ერთ ნაწილში, ე.წ. „საინგილოში“ შეიქმნა XVIII-XIX სს-ში.

საინგილოს ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, მ. დუმბაძე საყურადღებო დასკვნამდე მიდის: „ჩვენი აზრით, ჭარ-ბელაქანის ე.ი. საინგილოს საზოგადოებრივი წყობილების დახასიათებისას, განმსაზღვრელია ქართული ბატონყმური სისტემა, რომელიც მიუხედავად ავარულ-წახურული თემების გაბატონებისა და საინგილოს კახეთიდან ჩამოცილებისა, დიდხანს ძალაში რჩება და თვის გავლენას უმორჩილებს აღნიშნულ თემებსაც.“ მ. დუმბაძე ხაზს უსვამს, რომ „სოციალური და ეთნიკური კატეგორიების – „ლეკი“, „მუღალი“, „ინგილო“ – ერთმანეთში აღრევის შედეგად, ოფიციალურმა სტატისტიკამ ვერ შემოგვინახა ზუსტი ცნობები ინგილოთა რაოდენობის შესახებ,“ იგი მიიჩნევს, რომ მათი რიცხვი XIX ს-ის ბოლოსათვის, დაახლოებით 25 000 უნდა ყოფილიყო.

მონოგრაფიაში მ. დუმბაძე ფართოდ მიმოიხილავს მეფის რუსეთის მიერ ამ რეგიონის დამორჩილების შემდეგ იქ გატარებულ პოლიტიკას.

მამია დუმბაძის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მონოგრაფიას: „დასავლეთ საქართველო XIX ს. I ნახევარში.“

მონოგრაფიის პირველი თავი იმ პირობებისა და ისტორიული რეალობის ანალიზს მოიცავს, რამაც საქართველო რუსულ ორიენტაციამდე და 1801 წ. 12 სექტემბრის აქტამდე მიიყვანა. მ. დუმბაძე მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას XIV-XVIII სს-ში. ავტორი საყურადღებო დასკვნას აკეთებს, როდესაც წერს, რომ თუ XV-XVIII სს-ში საქართველო (და მისი ცალკეული ნაწილები), ქვეყნის საგარეო აგრესიისაგან (ირან-ოსმალეთისგან) თავდაცვისთვის მოკავშირეს ეძებდა, XVIII ს. მიწურულს ამ ფაქტორს დაემატა ერეკლე II-ის მემკვიდრეთა შორის წარმოებული დაუნდობელი ბრძოლა და მათ მიერ საგარეო მფარველის ძიება.

მამია დუმბაძის ეს 42-გვერდიანი მონოგრაფია, დღესაც სამაგიდო წიგნს წარმოადგენს საკითხით დაინტერესებული ყველა მკვლევარისთვის. შრომა, მართლაც რომ ენციკლოპედიური ხასიათისაა.

მამია დუმბაძე იყო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომის რედაქტორი და ცალკეული თავებისა და პარაგრაფების ავტორი.

„ნარკვევების“ ამ ტომმა და პირადად მამია დუმბაძემ საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მოიპოვა.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომში ბ-მა მამიამ გააღრმავა, გადაამუშავა და განაზოგადა ის მასალა, რაც მის ადრინდელ გამოკვლევებში უკვე იყო წარმოდგენილი. ზოგ შემთხვევაში კი, დაუმატა ახალი, საინტერესო დეტალები.

მ. დუმბაძემ ცალკე გამოკვლევა უძღვნა ივ. ჯავახიშვილის ადრინდელ შემოქმედებას (1984). 1976 წელს კი, მეცნიერის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, გამოაქვეყნა საგაზეთო სტატია, რომელშიც მოკლედ მიმოიხილა სახელოვანი ისტორიკოსის დიდი ღვაწლი.

მამია დუმბაძე მრავალი მონოგრაფიის რედაქტორი იყო. იგი ყურადღებით ეკიდებოდა რედაქტორის მოვალეობას და ავტორებთან ხშირად ჰქონდა საქმიანი შენიშვნები. იგი იყო თბილისის ისტორიის სამტომეულის I ტომის რედაქტორი და ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომეულის მე-3 ტომის რედაქტორი.

მ. დუმბაძე იყო ავტორი აღიარებული დამხმარე სახელმძღვანელოსი („საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-მდე, თბ., 1958“), რომელზედაც მრავალი თაობა აღიზარდა.

იგი არჩეული იყო საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად.

იყო მრავალი თაობის ისტორიკოსების აღმზრდელი და ახალგაზრდა მკვლევარების მეგობარი.

სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა საქართველოს ფეოდალური ხანის პერიოდიზაციაზე და მონოგრაფიაზე „ერეკლე II“, რომლის დამთავრება ვერ მოასწრო...

ამგვარად, მამია დუმბაძეს ამაყად შეიძლება ეთქვა: „მე რაც შევძელი, ვქმენი, ვისაც შეგიძლიათ უკეთესად, შემდგომში თქვენ განაგრძეთო!“

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# ღვაწლმოსილი მეცნიერი და ინჟინერი

**შესანიშნავ მეცნიერსა და დამსახურებულ ინჟინერს, ღვაწლმოსილ მამულიშვილს, ბატონ გივი ღუღუნიშვილს 85 წელი შეუსრულდა.**

დაიბადა 1930 წლის 17 სექტემბერს ქართული ინტელიგენციისთვის კარგად ცნობილ ბატონ გრიგოლ ღუღუნიშვილისა და ქალბატონ ვერა ვეფხვაძის დიდებულ ოჯახში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1953 წელს სწავლა განაგრძო ასპირანტურაში მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის სპეციალობით, ქ. მოსკოვში, სადაც წარმატებით დაიცვა დისერტაცია 1959 წელს. მოსკოვში სწავლის პერიოდში ბატონი გივი მუშაობდა ინჟინერ-ტექნოლოგის, შემდეგ კი უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობებზე.

1960 წელს ბატონი გივი ღუღუნიშვილი ბრუნდება საქართველოში და მუშობას აგრძელებს თბილისში სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. დიდია მისი წვლილი მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის განვითარებაში, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

ბატონი გივი 100-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომისა და მრავალი გამოგონების ავტორია.

ბატონ გივი ღუღუნიშვილის მიერ გალვანოტექნიკის დარგში დამუშავებულია მრავალი პროგრესული მეთოდი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავი, პირველად შემოთავაზებული და დანერგილი, ტექნოლოგიური პროცესის ახალი მეთოდები მასალის ზედაპირზე დანაფართა ჩამოყალიბების, დატანისა და შეცხობის სფეროში, რომელიც საზღვარგარეთ „ღუღუნიშვილის მეთოდად“ წოდებული, დანაფარის ზღვრული სიმტკიცისა და ძირითად მასასთან მისი შეჭიდულობის შეფასების კრიტერიუმია, და რომელიც ფართოდ ემსახურება მანქანათმშენებლობის დარგში ძველის მოდერნიზაციასა და ახალ პროგრესულ მიმართულებათა დანერგვას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი ნაშრომი, „მაღალი ძაბვის ელექტროველებში ლითონური დანაფარის დატანის ძირითადი პრინციპები“ (ქ.მოსკოვი, გამომცემლობა „ენერგია“).

აღსანიშნავია ბატონ გივისა და მისი მამის გრიგოლ ღუღუნიშვილის მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში „საშემდუღებლო წარმოების დანადგარებისა და ტექნოლოგიის“ სპეციალობის კათედრის დაფუძნებასა და მისი სასწავლო ბაზის ჩამოყალიბებაში.

ბატონ გივის მინიჭებული აქვს „საქართველოს დამსახურებული ინჟინრის“ და „სსრ კავშირის გამომგონებლის“ საპატიო წოდება.

ბატონი გივი ღუღუნიშვილი არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად.

ვუსურვებთ ბატონ გივი ღუღუნიშვილს, ღირსეულ პიროვნებას, ღვაწლმოსილ მეცნიერსა და ინჟინერს, სასიქადულო მამულიშვილს ჯანმრთელ, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით მოღვაწეობას ქვეყნის სასიკეთოდ.

**საქართველოს საინჟინრო აკადემია**

ალიან-ჩალიანი

# თბილისის საკრებულომ დედაქალაქის გარემოსდაცვითი სტრატეგია დაამტკიცა

**საკითხი სხდომაზე თბილისის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსმა ბიძინა გიორგობიანმა წარადგინა.**

**გარემოსდაცვითი სტრატეგიის დოკუმენტს მხარი საკრებულოს დეპუტატებმა ერთხმად, 33 ხმით არც ერთის წინააღმდეგ დაუჭირეს. დოკუმენტს საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა, ასევე, ოპოზიციონერმა დეპუტატებმა დადებითი შეფასება მისცეს.**



**გიორგობიანმა სხდომაზე აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი სტრატეგია ხუთ წელზეა გათვლილი და მისი მიღება დროულია, რადგან კარგად აისახება თბილისის გენერალური განვითარების გეგმაში. მისივე თქმით, სტრატეგია გარემოსდაცვით ყველა ასპექტს მოიცავს, კერძოდ, ჰაერის, მიწის, წყლის, მტვრით დაბინძურების, ხმაურის შემცირების პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს. ასევე, სტიქიური უბედურებების დროს ადრეული შეტყობინების სისტემის ამოქმედებას, მყარი ნარჩენების მართვას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და სხვა საკითხებს.**

**სხდომაზე ითქვა, რომ სტრატეგიის შესაბამისად, პირველ ეტაპზე თვენახევარში გიორგობიანი წარმოადგენს თბილისში არსებული პარკების, სკვერების და ტყეპარკების დემარკაციისა და პასპორტიზაციის გეგმას. აღნიშნულის საფუძველზე განისაზღვრება თბილისში არსებული მწვანე საფარი, რომლის პასპორტიზაციაც 1987 წლიდან არ ჩატარებულა.**

**თბილისის საკრებულომ გარემოსდაცვითი სტრატეგიის დოკუმენტი პირველად მიიღო. მსგავსი რამ თბილისს აქამდე არ ჰქონია.**

# როცა ნდობა დაკარგულია...

## მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტი იაფდება, ჩვენთან კი ინფლაციის ტემპი იზრდება



**სპეციალისტები მაღალ ინფლაციას პროგნოზირებენ. ისინი არ გამორიცხავენ, რომ სოციალური ვითარება ძალიან დაიძაბოს. ლარის არაადეკვატურმა გაუფასურებამ ხალხიც და სპეციალისტებიც საგონებელში ჩააგდო.**

ინფლაციური პროცესის გაღრმავების საფრთხეს ხედავს ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე. ის არ გამორიცხავს, ლარის დევალვაცია ინფლაციურ ზეწოლაში გადაიზარდოს.

**„ინფლაციური პროცესი, ფაქტობრივად, დაწყებულია. ფასების ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევია მედიკამენტებსადა კვების პროდუქტებზე. ამ დრომდე კი მხოლოდ ჰაერზე ლაპარაკი გვესმის. საუბრები იმაზე, რომ მაკროეკონომიკური პარამეტრები კარგია და სპეკულაციური მომენტებია მხოლოდ, არის სულელური და არაკომპეტენტური. საბაზრო ეკონომიკაში მთავარი პრობლემა არ არის სპეკულანტები. საუბარია იმაზე, რომ მონოპოლურ მსხვილ ფინანსურ ჯგუფებს სახელმწიფოს უმაღლესი სტრუქტურები ეხმარებიან — ეს არის ყველაზე დიდი საზიზღრობა, რამაც დამატებითი წნეხი წარმოშვა“,** — განმარტა გიორხელიძემ და დასძინა, რომ მთავარი პრობლემა მთავრობის უუნარობაშია, რომელიც მოქმედებს ისე, როგორც თვითონ მიაჩნია სწორად და არა ისე, როგორც ეს ეკონომიკას სჭირდება.

ანალიტიკოსი ლევან კალანდაძეც ინფლაციური პროცესების განვითარებას ელის. მისი აზრით, ასეთი მდგომარეობა გამოიწვია ეროვნული ბანკის უმოქმედობამ, რადგან მან საზოგადოების ინფორმირებულობა ვერ უზრუნველყო. გარდა ამისა, სებ-ს ბოლო ორი თვის განმავლობაში არ გამოუყენებია სავალუტო ინტერვენცია მაშინ, როცა შოკი ორი კვირის წინაც და გუშინაც იყო.

**„გვქონდა 5%-იანი მიზნობრივი წლიური ინფლაცია, რომელიც დაძლეულია და დღეს ინფლაცია უკვე 5%-ზე მეტია. ამ ნაწილში სერიოზული რისკია. საშუალოვადიან პერიოდში თუ არ გამოვიყენეთ ის ინსტრუმენტები, რაც გვაქვს, ინფლაციის მაჩვენებელი კიდევ უფრო ზემოთ წავა. ეს ხდება მაშინ, როცა მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტი იაფდება, რაც ჩვენთვის დადებითი ფაქტორია. ჩვენ ვართ ნავთობპროდუქტების შემომტანი ქვეყანა, რაც საგადასახდელო ბალანსზე პოზიტიურად აისახება. ამ პირობებში კი, როცა საერთაშორისო ბაზრაზე ნავთობი იაფდება, ჩვენთან ინფლაციის ტემპი მაღალია, არადა ახლა პირიქით უნდა იყოს. საბოლოო ჯამში, მალე პირველადი მოხმარების პროდუქტები მნიშვნელოვნად გაძვირდება“,** — აცხადებს ლევან კალანდაძე.

მისი თქმით, გაძვირდება ასევე პირველადი მომსახურება, მათ შორის, ჯანდაცვა და თითქმის ყველა დასახელების საკვები პროდუქტები. **„ეს ყველაფერი სავალუტო კრიზისის გამწვავების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ჩვენ სახეზე გვაქვს იმის ნიშნები, რომ სავალუტო კრიზისი შეიძლება გაღრმავდეს“,** — განაცხადა კალანდაძემ.

„საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე გიორგი კეპულაძეც ვარაუდობს, რომ ქვეყანა შეიძლება სოციალური აფეთქების წინაშე აღმოჩნდეს. ის წინასწარ პროგნოზს არ აკეთებს, თუმცა ინფლაციური პროცესები გაღრმავებას ელის.

**„მიზნობრივ ინფლაციას ჩვენ აგვისტოში უკვე გადავცდით, დღეს 5.4%-ია. სამწუხაროდ, ფასები იმატებს პირველადი საჭიროების პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, ჯანდაცვაზე. ინფლაციაზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენს ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა. ამ პროცესის კიდევ უფრო გაღრმავებას ველოდებით.**

**შესაძლოა, ანალიტიკოსებმა ბევრი ვერსია და ვარაუდი გამოვთქვათ, მაგრამ მთავარია, მათი მუშაობა, რომლებიც უშუალოდ აკონტროლებენ ქვეყნის ფინანსებს, ვალუტის შემოსვლასა და გადინებას“,** — აცხადებს კეპულაძე.

უარყოფითი მოლოდინი აქვთ ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციაშიც, სადაც მიაჩნიათ, რომ სასწრაფოდ უნდა გაანალიზდეს ლარის კურსზე მოქმედი მაკროეკონომიკური პარამეტრები, რაც ამ ეტაპისთვის არსებობს.

**„მაკროეკონომიკური პარამეტრების კუთხით განსაკუთრებული არაფერი ხდება, ანუ ლარზე ზეწოლის მხრივ, უარყოფითი მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. მნიშვნელოვანია დავაფიქსიროთ ეროვნული ბანკის როლი ამ პროცესში, რომელმაც უნდა მოახერხოს, რომ ლარის გაუფასურებამ ნაკლები ზიანი მიაყენოს ქვეყნის მოსახლეობასა და ეკონომიკას. ნაცვლად ამისა, ეროვნული ბანკი განაგრძობს იაფი ფულის პოლიტიკის გატარებას, ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთებს ინარჩუნებს დაბალ დონეზე და ამით საგარეო შოკისგან დასუსტებულ ლარს კიდევ უფრო ასუსტებს“,** — აცხადებს აფბა-ს წარმომადგენელი შოთა გულბანი.

„საზოგადოება 20/30“-ის წევრი, ეკონომისტი ნოდარ ჭიჭინაძისთვის მიუღებელია ხელისუფლების დუმილი იმ პირობებში, როდესაც ლარის საბაზრო კურსმა უკვე 2,5-ს მიაღწია. ამ დუმილის მიზეზი ისაა, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა არც ერთი პროგნოზი არ გამართლდა ლარის კურსის დასტაბილურებასთან დაკავშირებით. ამიტომ ისინი, უბრალოდ, აღარ აკეთებენ ამ საკითხზე კომენტარს და აღარ იღებენ პასუხისმგებლობას. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კი, როგორც ჭიჭინაძე ამბობს, დემაგოგიური განცხადებებით გამოდის.

**„2,4 არის ის ნიშნული, რომლის გადალახვის შემდეგ ეკონომიკური გუნდის მიმართ ნდობა იკარგება. ამ ვითარებაში კი ეკონომიკის მინისტრი იწვევს პრესკონფერენციას და აკეთებს არაადეკვატურ განცხადებას რუსეთიდან მგზავრთა ნაკადის გაზრდაზე. ამ დროს საზოგადოებას აინტერესებს, თუ როგორი შეიძლება იყოს ლარის კურსი და რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავს ვალუტის კიდევ უფრო გაუფასურების შემთხვევაში“,** — განაცხადა ჭიჭინაძემ „კომერსანტთან“ საუბრისას.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის ეკონომისტი ბესო ნამჩავაძე ბოლო კვირებში ლარის მკვეთრ გაუფასურებას ტურისტული სეზონის დასრულებით ხსნის. მისი შეფასებით, ახლა ის პერიოდია, როდესაც თითქმის ყველა უცხოელმა ტურისტმა დატოვა საქართველო, რის გამოც დოლარის დიდი ნაკადი შეწყდა.

მისი თქმით, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ხელისუფლებიდან კონტრნაბიჯები არ იდგმება, ეროვნული ბანკი კი დისკრედიტებულია.

**„დეკემბრის ბოლოს გიორგი ქადაგიძე გამოვიდა და განცხადება მაინც გააკეთა, ახლა ესეც არ ხდება, არადა ასეთი ავტორიტეტების გამოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს. სავარაუდოდ, იმიტომ არ ხდება მსგავსი რეაგირებები, რომ მათი მოლოდინები არ გამართლდა, შედეგად, მათ სიტყვას ფასი აღარ აქვს, ანუ ნდობაა დაკარგული“,** — აცხადებს ნამჩავაძე.

**ბექა დანელია**

**საბანკო სფერო**

# ფინანსურ-ეკონომიკური კოლაფსის საფრთხის წინაშე არ აღმოვჩნდეთ!

**დოლარის მიმართ ლარის კურსის 2,45-ნიშნულის გადაცდენასთან ერთად, საქართველოს ფინანსურ სივრცეში ყველაზე დიდი სიახლე საბანკო ზედამხედველობის სამსახურის ეროვნული ბანკის დაქვემდებარებიდან გამოყვანა გახდა.** ამ უკანასკნელის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა, თუმცა ლარის გამყარებასთან დაკავშირებით საერთო აზრი მაინც ის არის, რომ ამ მიმართულებით მთავრობისა და ეროვნული ბანკის მუშაობა ერთმანეთთან შეწყობილი უნდა იყოს. როგორი უნდა იყოს ეს მოქმედებები და რა შედეგს მოიტანს ახლო მომავლაში, ამის მწყობრი გეგმის შესახებ მოსახლეობამ ბევრი არაფერი იცის, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენში ერთ-ერთი წარმატებული საბანკო სფერო დიდი სიძნელეების წინაშე დგას, რომელთა გადალახვას მნიშვნელოვანი ძალისხმევა და, რაც მთავარია, უზარმაზარი სახსრები დასჭირდება. ლაპარაკია, კერძოდ, საქართველოს კომერციული ბანკების კრედიტორების, მათ შორის უცხოური ბანკებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ 835 მილიონი დოლარის დაუყოვნებლივ გადასახდელ დავალიანებაზე, რომელიც მათ, ეროვნული ბანკის მონაცემებით, ზაფხულისთვის დამდეგისთვის ერიცხებოდათ.

დაუყოვნებლივ გადასახდელ დავალიანებებში შედის ვადაგადაცილებული დავალიანებები და ყველა ტიპის სადეპოზიტო ვალდებულებები არარეზიდენტი (ანუ ქვეყნის ტერიტორიაზე არმოქმედი) სუბიექტების მიმართ. მთლიანად კი, წლეულს ქართულ კომპანიებს უცხოური კრედიტორებისთვის დაახლოებით 1,4 მილიარდი დოლარი აქვთ გადასახდელი, გაისად — 506,7 მილიონი დოლარი, ხოლო 2017 წელს — 2 მილიარდი დოლარი. ამდენად, **მომდევნო ორ წელზე ოდნავ მეტ დროში საქართველოში კომერციულ ბანკებს საზღვარგარეთელი კრედიტორებისთვის 4 მილიარდ დოლარზე მეტი აქვთ გადასახდელი, რაც ქვეყნის ოთხმილიარდიან სახელმწიფო ვალს აღემატება!**

როგორც უცხოური, ასევე შიდა ბანკთაშორისი საკრედიტო ხაზების გახსნა დაინტერესებული საფინანსო ინსტიტუტებისადმი, ჩვეულებრივი საბანკო ოპერაციებია, მაგრამ ამ შემთხვევაში, ისევ ეროვნული ბანკის მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ, სამამულო კომერციულმა ბანკებმა უცხოეთიდან 2,7 მილიარდი მოიზიდეს, გასასტუმრებელი კი დაახლოებით 4,17 მილიარდი დოლარი აქვთ, რაც ძირითად თანხაზე 1,47 მილიარდი დოლარით მეტია. ადვილი გამოსაანგარიშებელია, რომ ვალის მომსახურება 50 პროცენტზე მეტია. არადა, ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ **ასეთი უზარმაზარი პროცენტი კრედიტებზე არც უცხოეთის ბანკებს, არც, მით უმეტეს, საერთაშორისო ორგანიზაციებს არა აქვთ.** მაშ, საიდან გაჩნდა ეს უზარმაზარი სხვაობა?



ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ეკონომიკის ექსპერტის **თემურ ბასილიას** აზრით, ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ისა, რომ **ქვეყნის კომერციული ბანკები მიღებულ კრედიტებს დათქმული გრაფიკით არ ემსახურებიან, გადასახდელ თანხებს დროულად ვერ იხდიან, რის შედეგად რაგინდ შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთები, ფაქტობრივად, უსაშველოდ ეზრდებათ.** არადა, საბანკო ზედამხედველობის სამსახურის ერთ-ერთი მოვალეობა სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის კონტროლია და თუ საქმე მართლა ასეა, მაშინ ამას სასწრაფოდ მიხედვა სჭირდება უკვე სამთავრობო დონეზე: წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკები დავალიანებას დროულად არ გაისტუმრებენ, უცხოელმა კრედიტორებმა შესაძლოა ამის გაკეთება მთავრობას ბიუჯეტიდან მოსთხოვონ, როგორც ეს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ისლანდიასა და საბერძნეთში მოხდა. ამ შემთხვევაში წნეხი ისეთი დიდი კრედიტორებისგან, როგორებიცაა საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, სხვები, მით უმეტეს, ვალის განუხრელი ზრდის პირობებში, ძალიან ძლიერი იქნება.

მოვლენათა ამ სცენარით განვითარება უდიდეს საფრთხეს შეუქმნის საქართველოს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. ასევე ეროვნული ბანკის მონაცემებით, გარდა აღნიშნული საბანკო სექტორის 4 მილიარდ დოლარზე მეტი ვალისა, უშუალოდ სამთავრობო სექტორს დასაფარი აქვს 221 მილიონი დოლარი, თავად ეროვნულ ბანკს კიდევ 14,2 მილიონი დოლარი, ხოლო ვალუტის რეზერვი კი მხოლოდ 2,5 მილიარდი დოლარია...

შექმნილი ვითარების კიდევ ერთ მიზეზად, ექსპერტი კომბანკების სადღეისო მოგებაზე ორიენტაციას ასახელებს, რომლებიც ძველებურად მაღალი რისკის შემცველ სესხებს გასცემენ, რაც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში არა მარტო საბანკო, არამედ ქვეყნის ეკონომიკისთვის სტაბილურობისთვის საფრთხის შემცველია. ამდენად, ერთიანად საბანკო სფეროში სავარაუდო პრობლემათა პრევენციისა და არსებულთა დაძლევაში მეტად მნიშვნელოვანია საბანკო ზედამხედველობის სამსახურის როლი, რომელმაც დადგენილი წესებისა და შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად უნდა იმოქმედოს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფომ, ასე ვთქვათ, „თამაშის ერთიანი წესები“ უნდა დაადგინოს უსაფრთხოების, კონკურენციისა და ა. შ. მხრივ, რომლებიც ყველა სამეურნეო სუბიექტმა უნდა დაიცვას. კომერციული ბანკები მეტი მოგების მიღებაზე არიან ორიენტირებულნი, რაც, ზოგჯერ, გაუმართლებლად მაღალი რისკის შემცველ ნაბიჯებს ადგმევინებს, საზედამხედველო სამსახური კი ვალდებულია, გარკვეული რეგულაციები დააწესოს და ამ გზით აქციონერთა, მეანაბრეთა, ინვესტორთა ინტერესები, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება და სტაბილურობა დაიცვას. თითოეული ბანკის გაკოტრება ყველა მათგანს უდიდეს საფრთხეს უქმნის, ამდენად საბანკო რეგულაციების დაცვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ფინანსურ-ეკონომიკური კოლაფსის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

**ოთარ ტურაბელიძე**

SIC!

# ახალი სამშენებლო კოდექსი – ახალი მოთხოვნები მშენებლებისთვის

**ახალი სამშენებლო კოდექსი უკვე მზადაა და მისი პარლამენტში განხილვა საშემოდგომო სესიაზე იგეგმება. მშენებლები და დარგის სპეციალისტები მრავალი წელია, ამ დოკუმენტის შემუშავება-ამოქმედებას ითხოვდნენ. როგორც იქნა, მათი პოზიცია ხელისუფლებამ გაიზიარა. სავარაუდოდ, წლის ბოლომდე ქვეყანას ახალი სამშენებლო კოდექსი ექნება.**

**პროექტი უკვე მთავრობის ადმინისტრაციაში გადაიგზავნა. როგორც ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, სამუშაო ვარიანტი სამშენებლო კომპანიებთან, დარგობრივ ასოციაციებთან და სხვადასხვა უწყებებთან შეთანხმებით მომზადდა და მასში საკმაოდ ბევრი რეგულაციაა გათვალისწინებული.**

**მასში ჩადებულია სამშენებლო კომპანიებისთვის გეოლოგიური დასკვნისა და ექსპერტული დასკვნის წარდგენის ვალდებულება. ასევე, ახალი კოდექსით, სავალდებულო გახდება ინჟინრებისა და არქიტექტორების სერტიფიცირება. კოდექსით შემოდის საჯარო სივრცეების მიჯნის ზონის ცნებაც.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი დავით გიგინეიშვილი აცხადებს, რომ კოდექსის გადამუშავებული ვარიანტი ყველა მხარესთან შეთანხმდა და მთავრობის ადმინისტრაციაში ისე გადაიგზავნა.

„როდესაც კოდექსზე დავიწყეთ მუშაობა, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისგან ბევრი შენიშვნა იყო, ყველა შენიშვნა და რეკომენდაცია გადამუშავდა და გათვალისწინებულ იქნა. კონსენსუსი მეტ-ნაკლებად მიღწეულია, როგორც კერძო სექტორთან, ისე ასოციაციებთან და სხვადასხვა სამინისტროებთან“ – აღნიშნა გიგინეიშვილმა.

მისი ინფორმაციით, მთავრობაში ინიცირებულ სამშენებლო კოდექსის ვარიანტს მხარს უჭერენ დეველოპერული ბიზნესის წარმომადგენლებიც. ამის თქმის საფუძველს კი მას ბიზნესასოციაციის მიერ ეკონომიკის სამინისტროში გადაგზავნილი წერილი აძლევს, რომელშიც ნათლად არის აღნიშნული, რომ ასოციაციის წევრები იწონებენ კოდექსს.

**„ბიზნესასოციაციის წევრებში მრავლად არიან დეველოპერული კომპანიები, ანუ მათი წერილი ნიშნავს იმას, რომ ინიცირებულ ვარიანტს იწონებენ დეველოპერული კომპანიებიც“,** – აცხადებს გიგინეიშვილი.

მისი ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში მოხდება კანონპროექტის მთავრობის სხდომაზე განხილვა და შემდეგ მისი პარლამენტში გადაგზავნა.

მენაშენეთა ასოციაცია კოდექსის შემუშავებაში საწყის ეტაპზევე ჩაერთო. ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი როსტომაშვილი ამბობს, რომ ყველამ ბევრი იმუშავა.

**„რამდენიმე ისეთი საკითხი იყო, რაშიც პროექტის ავტორებს ვეთანხმებოდით, რაღაცაში – აღარ, მაგრამ საბოლოოდ კონსენსუსი შედგა. საერთოდ, კანონი შეიძლება კარგი იყოს, მაგრამ შესრულება სჭირდება. მართლაც, სერიოზულად მაფიქრებს, როგორ მოახდენენ კანონმდებლობის აღსრულებას, რა ბერკეტებს გამოიყენებენ საამისოდ. რაღაც კარგად თუ არ შესრულდება, კანონმდებლობას ვერ დავაბრალებთ.**

**თავისთავად, კოდექსი ვერაფერს გააკეთებს, საქმე ადამიანმა აკეთოს და აუცილებლად პროფესიონალი უნდა იყოს. თუ კარგი სპეციალისტი შეირჩევა და კოდექსის სახით კარგი სამოქმედო არეალი ექნება, სასურველ შედეგს მივიღებთ. ამიტომ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. პოლიტიკური თვალსაზრისით დანიშნული კადრი ვერაფერს გააკეთებს.**

**რა დღეშიც დღეს სამშენებლო სექტორია, გამოწვეულია უცოდინრობით, გამოუცდელობის გამო მშენებლობის სფერო ყველაზე მეტად დაზარალდა.**

**ადრე რომ ეფიქრათ პროფესიონალების ჩართვაზე კარგი იქნებოდა და ამ შედეგს არ მივიღებდით“,** – მიიჩნევს ირაკლი როსტომაშვილი.

**ბექა დანელია**



ბინათმშენებლობა



# საქართველოში ბინებს ძირითადად ემიგრანტები და უცხოელები ყიდულობენ

**საქართველოში სამშენებლო სექტორი წლების განმავლობაში სტაბილურად ვითარდებოდა, ეს წინსვლა 2004 წლიდან მოყოლებული, 2008 წლის პირველ კვარტლამდე არ შეწყვეტილა. სპეციალისტები ამ პერიოდს ქართული სამშენებლო ბიზნესის „ოქროს ხანასაც“ უწოდებენ.** 2008 წლის შემდეგ კი, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ამის მიზეზი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და 2008 წლის აგვისტოს ომი იყო. ამ ორმა მოვლენამ ჩვენს ქვეყანაში დაწყებული სამშენებლო ბუმი კარგა ხნით შეაჩერა. საბედნიეროდ, ბოლო ხანებში ყინული დაიძრა და სამშენებლო სექტორში აშკარა გამოცოცხლება იგრძნობა, თუმცა, ლარის კურსის ცვალებადობამ ეს პროცესი შეანელა. როგორც კომპანიებში ამბობენ, შარშანდელთან შედარებით, წელს გაყიდვები შემცირებულია და ეს სწორედ ლარის კურსის დაცემით არის გამოწვეული. მდგომარეობის გამოსასწორებლად სამშენებლო ბიზნესი სხვადასხვა სახის აქციებს მიმართავს, მაგალითად, დღეს საკმაოდ პოპულარულია შეთავაზება: „შეიძინეთ ბინა ძველი კურსით – 1 დოლარი=2 ლარს“, თუმცა, სამშენებლო კომპანიებში აცხადებენ, რომ ყველაზე ეფექტიანი მაინც ფასდაკლების აქციებია.

**ნათია ზარნაძე, კომპანია 7 sky-ს გაყიდვების მენეჯერი:** „შემოდგომა სამშენებლო ბიზნესისთვის საკმაოდ აქტიური სეზონია, მაგრამ წელს ჩვენი მოლოდინი მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. ჩვენი კომპანიის ყველაზე აქტიური კლიენტები საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები არიან. ალბათ 99 პროცენტი საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს და სწორედ ისინი ყიდულობენ ბინებს. თუ საქართველოში სიტუაცია არ გაუმჯობესდა, ალბათ აქ მცხოვრებ მოსახლეობას კარგა ხანს არ ექნება საშუალება, თანხა დაზოგოს და ამ დანაზოგით ბინა შეიძინოს. სწორედ ამიტომ, არაერთი კომპანია იძულებულია, თავისი ბინები საგრძნობლად გააიაფოს“.

ჩვენთან საუბრისას უცხოეთში მცხოვრები კლიენტების სიმრავლეზე გაამახვილა ყურადღება შპს „რედკოს“ გაყიდვების მენეჯერმა **მეგი წულუკიძემაც: „შარშან შედარებით უკეთესი სიტუაცია იყო, მაგრამ რადგან ჩვენი კლიენტები უცხოელები არიან, მოთხოვნა ბინებზე მაინც არის. ჩვენც ვცდილობთ, სხვადასხვა აქციით მოვიზიდოთ კლიენტურა: მაგალითად, გუდაურში აშენებულ კორპუსში მყიდველებს რემონტს საჩუქრად ვთავაზობთ. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი პროექტები ძირითადად გუდაურში ხორციელდება, ძალიან ბევრი უცხოელი კლიენტი გვყავს. ძირითადად უკრაინელები და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მცხოვრები მოქალაქეები, თუმცა, ბოლო ხანებში გუდაურსა და ბაკურიანში ქართველი მომხმარებლების გააქტიურებაც შეინიშნება. ჩვენი პროექტები სხვადასხვა ქალაქში ხორციელდება და ფასებიც სხვადასხვაა: ტურისტულ ზონებში 1 კვ.მ. ფასი 750 დოლარიდან იწყება, ხოლო თბილისში ფასები 800-დან 900 დოლარამდე მერყეობს“.**

კომპანია „ეპიკ დეველოპმენტის“ გაყიდვებისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელმა **დოდო შენგელიამ** ამ თემაზე საუბრისას აღნიშნა, რომ შარშანდელთან შედარებით მათ კომპანიაში საგრძნობი ჩავარდნა არ შეინიშნება.

**„მართალია, აგვისტო შემოსავლიანი არ იყო, მაგრამ ივნის-ივლისი ყველაზე კარგი თვეები იყო მიმდინარე წლის განმავლობაში. ჩვენს საქმიანობაზე ლარის კურსის ცვლილება ძალიან მოქმედებს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ 2015 წლის ბოლო კვარტალი ჩვენთვის უკეთესი იქნება“,** – ამბობს დოდო შენგელია.

მისივე თქმით, „ეპიკ დეველოპმენტის“ ბინების ფასი გარეუბნებში 500-550 დოლარია, ხოლო ცენტრალურ უბნებში – 750-დან 850 დოლარამდე მერყეობს.

**„ყველა უბანს ჰყავს თავისი მყიდველი, მაგრამ მცირე ფართის ბინები საერთოდ უფრო კარგად იყიდება – ეს ერთგვარი, დაუწერელი წესია. კლიენტები რომ მოგვეზიდა, მათ მაქსიმალური შეღავათი გავუწიეთ: ცენტრალურ უბნებში 1 კვ.მ. ფართობს ადრე 1000 დოლარად ვყიდდით, ახლა კი, უკვე 850-900 დოლარამდე ჩამოვედით. კიდევ ერთი ცვლილება, რაც წელს თვალშისაცემია, არის ის, რომ ძალიან შემცირდა მოთხოვნა იპოთეკურ სესხებზე, ჩვენს კლიენტებს ურჩევნიათ, შიდა განვადება გააფორმონ და მეტი გადაიხადონ, ვიდრე იპოთეკური სესხი გააფორმონ. ასე თუ ისე, სამშენებლო სექტორში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ოთხი, ან ხუთი წლის წინათ იყო“,** – განაცხადა დოდო შენგელიამ.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

ალიან-ჩალიანი

## გლდანის დეპუტატი წინასაარჩევნო დაპირებას ახლა ასრულებს

**ავჭალაში კეცხოველის ქუჩას რეაბილიტაცია ჩაუტარდა. გლდანის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა კობალაძემ ამავე რაიონის გამგებელთან ბესიკ ქარცივაძესთან ერთად კეცხოველის ქუჩაზე ჩატარებული საგზაო სამუშაოები დაათვალიერა.**

**დეპუტატის განცხადებით, აღნიშნული ქუჩის რეაბილიტაცია ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო.**

**„რაიონის გამგებელთან და თბილისის მერიის წარმომადგენლებთან ერთად გადავწყვიტეთ, პირადად შევხვედროდით კეცხოველის ქუჩის მოსახლეობას, რათა ადგილზე დაგვეთვალიერებინა და შეგვეფასებინა ამ ქუჩაზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამჟამად კეცხოველის ქუჩაზე მოწესრიგდა გზის საფარი, მიწის ზედაპირი 5000 კვ.მ ფართობის გზის მონაკვეთზე მოიჭრა და სრულად დამუშავდა. მთლიანად მოიხსნა დაზიანებული ასფალტი და გრუნტი. ასევე, მოეწყო ბორდიურების ახალი ზოლი და ორფენიანი ასფალტის საფარი დაიგო,“ – აღნიშნა დეპუტატმა.**

**მისივე თქმით, რაიონში ასევე დაგეგმილია კულა გლდანელის სახელობის საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია.**

**როგორც რაიონის გამგებელმა აღნიშნა, ქუჩის რეაბილიტაცია მნიშვნელოვნად განტვირთავს მოძრაობას სარაჯიშვილის გამზირზე. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად გამგეობამ ბიუჯეტიდან 350 000 ლარი გამოყო.**

## ვინ ააშენებს ანაკლიის პორტს?

**ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ტენდერში გამარჯვებული უნდა გამოცხადდეს თვის ბოლოს ან მომდევნო თვის დასაწყისში. ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა.**

**მისი თქმით, ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ჩინეთში ვიზიტისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრაზე, ძალიან მნიშვნელოვანი მესიჯი მიიღეს ჩინეთის პრემიერ-მინისტრისგან.**

**„რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გააჟღერა ჩინეთის პრემიერმა. მათ შორის ერთ-ერთი იყო ანაკლიის პორტი. მან დააფიქსირა, რომ ცნობილია და მხარს უჭერს ანაკლიაში აღნიშნული პროექტის განხორციელებას. ამ დონეზე ნათქვამ ყველა სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ეს სახელმწიფო მხარდაჭერა, რომელიც ჩვენ მივიღეთ, აუცილებლად აისახება ცხოვრებაში“, – განაცხადა ქუმსიშვილმა.**

**ინტერპრესი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ოდესა – რეფორმების მამა

**კიევის ეკონომიკის სკოლაში დამმუშავებლების მიერ წარდგენილია რეფორმების ოდესის პაკეტი — წინადადებები უკრაინის ეკონომიკის რეფორმების პაკეტით, რომელიც დამუშავებულია ოდესის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით. საკვანძო ეკონომიკური ინიციატივებია: ერთიანი გადასახადის სწრაფად დაწეული განაკვეთები 20 პროცენტამდე ფიზიკური პირებისათვის, უკრაინის სახელმწიფო ხარჯების შეზღუდვა შინაგანი მთლიანი პროდუქციის 30 პროცენტამდე, შინაგანი მთლიანი პროდუქციის საბიუჯეტო დეფიციტი — 3 პროცენტამდე, გადასახადების გაზრდა მხოლოდ რეფერენდუმის შედეგად, მასობრივი პრივატიზაცია, მიწის ბაზრისა და შრომითი ურთიერთობების დერეგულირება.**

კიევის ეკონომიკის სკოლაში 16 სექტემბერს გაიმართა ოდესის რეფორმების პაკეტის პრეზენტაცია — იგი შესთავაზა მიხეილ სააკაშვილის გუნდმა და მას მხარს უჭერს ოდესის თავისუფალი ეკონომიკის კახა ბენდუქიძის სახელობის ცენტრი საერთო უკრაინული ეკონომიკური რეფორმებით. ჩვენი გაზეთის მონაცემებით, პირველი კანონპროექტები „ოდესის პაკეტის“ ფარგლებში შეიძლება გამოქვეყნდეს დამმუშავებლების მიერ მომავალი კვირის დასაწყისში — ესენი არიან საშა ბოროვიკი, ვლადიმირ თედორინი და სხვა წარმომადგენლები, რომლებიც საუბრობენ შემოთავაზებული რეფორმების საერთო იდეოლოგიის შესახებ.

**საკაშვილის გუნდმა კიევს მოქმედებათა გეგმა წარუდგინა**



შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს საქართველოში განახორციელეს ღრმა ეკონომიკური რეფორმების პაკეტი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი იყო წარმატებული: **„ოდესის პაკეტი“, რომელიც იქმნებოდა უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში, ბევრ რამეში ჰბაძავს ქართულ გამოცდილებას უკრაინულ რეალობაში. მაგალითად, პაკეტის საკვანძო ელემენტი, როგორც საქართველოშიც, არის „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“,** რომელიც უკრაინას კონსტიტუციურ დონეზე სთავაზობს, შეზღუდოს საგადასახადო გადანაწილება და მოხსნას პრობლემები მეწარმეობითი საქმიანობის დროს. გადასახადების ზრდა ქვეყანაში, პაკეტის მიღების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მხოლოდ საერთო უკრაინული რეფერენდუმით და არაუადრეს 3 წლის შემდეგ მისი განხორციელებიდან. ერთობლივი სახელმწიფო ხარჯები იზღუდება შინაგანი მთლიანი პროდუქტის 30 პროცენტით, საბიუჯეტო დეფიციტი — შინაგანი მთლიანი პროდუქტის 3 პროცენტით საბრძოლო ან საგანგებო მდგომარეობის შეზღუდვებით. ქვეყნის სახელმწიფო ვალი პერსპექტივაში შეზღუდული იქნება შინაგანი მთლიანი პროდუქტის 60 პროცენტამდე. ძირითადი მიმართულებანი „ოდესის პაკეტში“ სტრუქტურული და ინსტიტუციონალური რეფორმების მიმართულებით იქნება უფრო ღრმა, ვიდრე ათი წლის წინანდელ ქართულ რეფორმებში.

წინანდებათა შვიდი ბლოკის რიცხვშია — სახელმწიფო ბიუჯეტის რეფორმა, შრომის ბაზრის რეფორმა, სახელმწიფო მომსახურების სისტემის გამარტივება, მეწარმეობის დერეგულირება, სატრანსპორტო პრივატიზაცია, გადასახადებისა და შენაკრებების ახალი სისტემა, ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების სისტემა. აღვნიშნავთ, რომ რუსეთის ფედერაციაში, უკიდურეს შემთხვევაში, დეკლარირებულ დონეზე, მიმდინარეობს ან უკვე განხორციელდა 2001-2014 წლებში რეფორმები ხუთი ანალოგიური მიმართულებით. უკრაინის ხელისუფლებამ ვიქტორ იუშჩენკოსა და ვიქტორ იანუკოვიჩის დროს განახორციელა მხოლოდ წერტილოვანი რეფორმები ამ სფეროში. უკრაინის პარლამენტში, როგორც დამმუშავებლები ვარაუდობენ, კერძოდ 2015 წლიდან, შეთავაზებული იქნება კანონპროექტები ცვლილებებით კანონმდებლობასთან, მიწის შესახებ კანონებთან შეხამებით.

„ოდესის პაკეტის“ დამმუშავებლები ასევე დაბეჯითებით მოითხოვენ კაპიტალის შეზღუდული მოძრაობის ლიკვიდაციას, კერძოდ უცხოური ინვესტიციების რეგისტრაციის გაუქმებას უკრაინის ეკონომიკაში და გრივნის თავისუფალ კონვერტაციას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, როგორც საქართველოს რეფორმების შემთხვევაში, შრომის ბაზრის ლიბერალიზაციასა და საგადასახადო დატვირთვის შემცირებას უკრაინის ეკონომიკაში. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი და სოციალური გადასახადები შემოთავაზებულია უკვე 2016 წელს გაერთიანდეს ერთიან გადასახადში ხელფასზე 25 პროცენტის განაკვეთით, რომელიც 2018 წელს უნდა შემცირდეს 20 პროცენტით. რეფორმების ქართული პაკეტი გვთავაზობდა შრომის ურთიერთობათა ფაქტობრივ დერეგულირებას. უკრაინას, როგორც ეტყობა, ფაქტობრივად, მისი შრომითი უფლებების რეგულირების საბჭოთა სისტემით, შესთავაზებენ გახდეს ევროპის ყველაზე დიდი ქვეყანა შრომის, ფაქტობრივად, თავისუფალი ბაზრით. ამას გარდა მიხეილ სააკაშვილის გუნდის ინიციატივით უნდა მოხდეს გადასახადების ოდენობის შემცირება მათი განაკვეთის შემცირებისაგან მიღებული განაკვეთებით. ამის შესაბამისად, სახელმწიფო სამსახურის რეფორმების პაკეტში ინტეგრირებული იქნება პოლიციური რეფორმაც — ქართული რეფორმების „სავიზიტო ბარათი“.

უკრაინის ამჟამინდელი მთავრობის მუშაობის შენსები წინადადებათა ამ პაკეტის მიხედვით მეტად მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მოთხოვნები ეკონომიკური სიტუაციის სასწრაფო ცვლილებებზე, ეტყობა, იქნება უფრო მაღალი, ვიდრე, საქართველოში 2004-2005 წლებში, ეკონომიკური ლიბერალიზმის დღემდე გამოხატული მხარდაჭერით უკრაინის პარლამენტში არ ყოფილა. რეფორმების ოდესის პაკეტის პრეზენტაციის მიზნები ხანგრძლივია. ამჟამად უკრაინის ცენტრისტული და მემარჯვენე ძალები არ ითვალისწინებენ სახელმწიფო კაპიტალისტური აზრის „ძლიერი უკრაინის“ იდეოლოგიას, თუმცა უალტერნატივოდ ეს ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა.

Коммерсант

# ადრე თუ გვიან, სააკაშვილს ოდესის დატოვება მოუწევს

**„ჩვენი გაზეთი უკვე წერდა, რომ უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გაჩნდა პეტიცია ოდესის გუბერნატორის გადაყენების მოთხოვნით. ოდესის მოსახლეობა, — ნათქვამია მასში, — რეალურ რეფორმებს ვერ ხედავს. სააკაშვილის ყველა რეფორმა მხოლოდ სიტყვებია. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ სატელევიზიო ინტერვიუებში ხდება, ინტერვიუების მიცემა კი გუბერნატორს ძალიან მოსწონს“. პეტიციის ავტორი წერს, რომ სააკაშვილმა სამთვიანი გუბერნატორობის განმავლობაში ვერ შეძლო ვერც ერთი პირობის შესრულება, ამიტომაც უნდა გადადგეს.**

**for.ge-სთან საუბრისას პოლიტოლოგი სოსო ცისკრაშვილი აცხადებს, რომ ადრე თუ გვიან სააკაშვილს მოუწევს ოდესიდან წასვლა.**

— უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შორიდან ზუსტი ანალიზი რთული იქნება. ვფიქრობ, რომ არ გვაკვირვებს როგორც სააკაშვილის მხარდამჭერი, ისე საწინააღმდეგო პეტიცია. ნუ ჩავთვლით, რომ ოდესაში მხოლოდ ანგელოზები ცხოვრობენ, ჩემი პირევლი რჩევა გუბერნატორ სააკაშილის მიმართ გამოვხატე რამდენიმე ინტერვიუში - საჯაროდ ვთხოვდი, რომ არ ჩარეულიყო ოდესის პორტის საქმეებში, რადგან ეს ისეთი შავი ხვრელია, რომელიც მარტივად არ ამოიქოლება და ის კორუფციული სქემები, რომლებიც ოდესის პორტის გამოყენებით ხორციელდება, საფრთხეა ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც შეეცდება, რომ შეცვალოს ძალთა შეფარდება ამ რეგიონში.

ამიტომ, ნაჩქარევი მგონია ბატონი სააკაშვილის ქმედებები, თუმცა, მოთმინება და შორსმჭვრეტელური ნაბიჯების გადადგმა მას არ ახასათებს.

**— რა წინააღმდეგობები აქვს სააკაშვილს, გარდა იმისა, რომ დაპირისპირებულია პრემიერ-მინისტრთან, უკრაინაში მცხოვრებ ოლიგარქებთან, რომლებიც ასევე დაპირისპირებული არიან პრეზიდენტ პოროშენკოსთან? ახლა უკვე სააკაშვილს მოსახლეობა დაუპირისპირდა?**

— სწორედ ეს არის მთავარი წინააღმდეგობები, რომელიც ჩამოთვალეთ. ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე ცეცხლის გახნა სასარგებლო ვერ იქნება. ამ ცეცხლის გახსნის ავტორი თუ უფრო ღრმად შეტოპავს მაფიოზური სისტემის სიღრმეებში ნამდვილად მეტი ხიფათი ელოდება.

**— როგორ ფიქრობთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პოროშენკო, გაანთავისუფლებს სააკაშვილს? ფაქტია, რომ დღეს უკვე პოროშენკოსთვის პოლიტიკურად წამგებიანია ხალხის ნების საწინააღმდეგოდ წასვლა...**

— ნამდვილად, პოროშენკოს საკუთარი თავი გასჭირვებია, ვგულისხმობ არა მხლოდ საომარ მოქმედებებს, არამედ მოსახლეობის ნაწილში მის წინააღმდეგ აგორებულ ტალღას. ეს იმის მანიშნებელია, რომ ადრე თუ გვიან, სააკაშვილს მაინც მოუწევს ოდესის დატოვება და ურჩევნია, თავისი ენერგია დასავლეთისკენ მიმართოს.

ბატონ პოროშენკოს ექნება ზუსტი ინფორმაცია, ვინ დგას ანტისააკაშვილისეული გამოსვლების უკან, თუ ეს ძალა სანდოა და მის ფრთას წარმოადგენს, მაშინ შეიძლება, რამე ახალი თავშესაფარი გამოუძებნოს ბატონ სააკაშვილს; ხოლო თუ ეს ის ძალაა, რომელიც არაფრად დაგიდევს კანონიერებას, მხოლოდ შავი გზებით ცდლობს სიმდიდრის მოხვეჭას, მაშინ სააკშვილის გავლენა გაძლიერდება.

სააკაშვილის, როგორც პოლიტიკური შოუმენის რეპერტუარი მდიდარი არ არის. ძირითადი შესაძლებლობები უკვე გაუმჟღავნა საზოგადოებას — ხმაურიანი დაპატიმრებებით და მოულოდნელი გაცხარებებით.

**თამთა ქარჩავა**

## დედამიწის ზურგზე



### ბაღდადის საქმიან კვარტლებში ორი აფეთქების ხმა გაისმა – დაიღუპა 14 კაცი

**ერაყის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ხუთშაბათს დედაქალაქში აფეთქდა ორი თვითმკვლელი ტერორისტი. აფეთქებების შედეგად დაიღუპა 14 კაცი, მათ შორის, სამი პოლიციელი. ათობით ადამიანი დაიჭრა. პასუხისმგებლობა ტერაქტისათვის პირველ საათებში არც ერთ დაჯგუფებას არ უკისრია, თუმცა ხელისუფლება ინციდენტს „ისლამურ სახელმწიფოს“ უკავშირებს.**

### გაეროსთან სირიის მუდმივმა წარმომადგენელმა მოითხოვა, ნება მისცენ რუსეთს – მიაყენოს დარტყმები „ისლამურ სახელმწიფოს“

**„რატომაა, რომ ამერიკელები ებრძვიან „ისლამურ სახელმწიფოს“ საბრძოლო თვითმფრინავების გამოყენებით, რუსებს კი ამის გაკეთება ეკრძალებათ? ამაში არანაირი აზრი არაა“, — თქვა გაეროსთან სირიის მუდმივმა წარმომადგენელმა ბაშარ ჯაფარიმ. „ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყველა ერთ მტერს ვერბრძვით“, — აღნიშნა მან.**

### მიწისძვრა 8,4 მაგნიტუდით ჩილის სანაპიროზე, გამოცხადებულია ცუნამის საფრთხე

**თავდაპირველად იტყობინებოდნენ 7,9 მაგნიტუდის შესახებ. ასევე დააფიქსირეს ორი აფტერშოკი, რომელთა მაგნიტუდაც იყო 6,2 და 6,4. ცუნამის საფრთხე გამოცხადებულია ჰავაიელებისათვის. ჩილეში მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 5 კაცი. ქვეყნის მილიონი მოსახლეობა ევაკუირებულია. ბევრ სკოლაში გაუქმებულია მეცადინეობა.**

### ტრამპმა რესპუბლიკურ დებატებზე განაცხადა, რომ მოელაპარაკებოდა პუტინსა და ჩინეთს



**„სი ენ ენის“ მიერ ორგანიზებული დებატები — ესაა მეორე კოლექტიური ტელეშოუ რესპუბლიკური ნომინანტების მონაწილეობით. ტელეკომპანიას მიაჩნია, რომ ამჯერად ტრამპმა ვერ შეძლო, მიეზიდა ეთერი, ხოლო ყველაზე უფრო ხმაურიანი ტაში დაიმსახურა კარლი ფიორინამ, რომელიც პირველად დაუშვეს ეთერის მთავარ ნაწილში.**

### ლიბიის უღიარებელმა ხელისუფლებამ განაცხადა რომ დააკავა ტანკერი რუსული დროშით

**„უნავთობო ტანკერი რუსული დროშით დააკავეს შუადღისას, როდესაც იგი ზუარიდან ცდილობდა, გაეტანა კონტრაბანდული ნავთობი“, — განაცხადა დედაქალაქის ხელმძღვანელობისადმი ლოიალურმა წარმომადგენელმა ტაუფიკ ასსკირმა. მისი სიტყვებით დაპატიმრებულია რუსული ეკიპაჟის 11 წევრი, თავად ხომალდი გადაიყვანეს ტრიპოლიში.**

### ლტოლვილებით გარშემორტყმულმა უნგრეთმა დაიწყო კედლის მშენებლობა ხორვატიის საზღვარზე

**მას შემდეგ, რაც 15 სექტემბერს უნგრეთმა დაამთავრა 170-კილომეტრიანი კედლის მშენებლობა სერბიის საზღვარზე, მან გადაწყვიტა, გააგრძელოს ეს დაბრკოლება აღმოსავლეთისაკენ, რუმინეთთან საზღვარზე, დასავლეთისკენ კი — ხორვატიასთან. ოთხშაბათს რუმინეთის საზღვართან უნგრეთის მხარემ დაიწყო დაზვერვა მომავალი კედლისათვის, — განაცხადა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა.**



# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

### ობიექტი № 1

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბიას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია $P+C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 136 800 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბიას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 18 343 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1834,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს( 50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 9 372 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი № 2

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადება და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ.ხაშური, ბორჯომის ქუჩა №188. მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P. მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 300 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ხაშური, ბორჯომის ქუჩა №188 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 205 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 28

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადება და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის მიმდებარე ტერიტორია. მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია -P. მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა –1 095 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 35 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 218 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 19 |

| | | |
|---|---|---|
| | დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 29

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების |
| | | აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმოწყობილობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის (ჭა) მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის აღკვეთა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გურიანთას მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 60 000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გურიანთას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 506 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 150,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 953 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 30

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმოწყობილობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება. |
| | | ზ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯურუყვეთის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 500 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჯურუყვეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 49 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 4,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 225 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 18 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 19 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

◉ აქტუალური თემა

# სამინისტროს პასუხი ფეხბურთის ფედერაციას და უეფას

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 14 სექტემბერს ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიიღო წერილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, რომელიც ფედერაციას უეფას გენერალურმა მდივანმა ჯანი ინფანტინომ გაუგზავნა.**

**წერილში საუბარია 2015 წლის 3 ოქტომბერს გასამართ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე და წინასაარჩევნო პროცესებზე.**

**გთავაზობთ საპასუხო წერილს სამინისტროს მხრიდან ფეხბურთის ფედერაციის მისამართით, წერილის ასლი ასევე გაეგზავნა უეფას.**

**სამინისტროს პრესსამსახური**

## ფრიად სასწრაფო

**ბატონო გიორგი,**

ყურადღებით გავეცანით უეფას გენერალური მდივნის ჯანი ინფანტინოს წერილს, რომელიც სფფ-ს მიერ ელექტრონული ფოსტით 2015 წლის 14 სექტემბერს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში იქნა გადმოგზავნილი.

პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინოთ, რომ საქმის წარმოების წესიდან გამომდინარე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უმჯობესია, მსგავსი წერილები ოფიციალური მიმოწერის სახით შემოიტანოს სახელმწიფო უწყებაში, რომელიც უფლებამოსილი პირის ხელმოწერით იქნება დადასტურებული.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული მასალებით არის ინფორმირებული წინასაარჩევნო პროცესების შესახებ და უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეული გაუგებრობები პროცესებს მართლაც თან ახლავს და ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. აქვე შევნიშნავთ, რომ ფედერაციის საქმიანობაში ჩარევის ფაქტების არსებობის შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა, დროულად მოგეხდინათ სამინისტროს ინფორმირება.

ვინაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე შემოვიდა უეფას წერილი, სადაც ბატონი ჯანი ინფანტინო გავალებთ, რომ აცნობოთ შესაბამის სამთავრობო უწყებას. ჩვენ ვალდებული ვართ, რეაგირების გარეშე არ იქნას დატოვებული არც ერთი საკითხი, რომელიც უეფას ინტერესის საგანი გახდა ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე ასპექტზე, რომელიც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ სფფ-ს მხრიდან განმარტებებს საჭიროებს როგორც უეფას, ასევე ქართული საფეხბურთო საზოგადოების მისამართით. კერძოდ:

1. ზედმიწევნით ვიზიარებთ ბატონ ჯანი ინფანტინოს პოზიციას იმის თაობაზე, რომ საკითხები და საარჩევნო პროცესები უნდა განხორციელდეს სფფ-ს წესდების და რეგულაციების თანხმად. მაგალითისთვის: სფფ-ს აღმასკომმა არ უნდა დაარღვიოს თავისივე წესდების მუხლი 21. პუნქტი 2 მოთხოვნები, სადაც აღნიშნულია, რომ **დელეგატები უნდა ეკუთვნოდეს წევრს, რომელსაც წარმოადგენენ და დაინიშნონ ან აირჩნენ წევრის სათანადო ორგანოს მიერ**. მათ უნდა შეეძლოთ სფფ-ს მოთხოვნისთანავე წარმოადგინონ ამის დადასტურება".

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საიტზე დევს ინფორმაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, სადაც აღნიშნულია, რომ გურიის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტს არ გააჩნია უფლებამოსილება, მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება ფედერაციის უმაღლეს ანდა ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. რაც მან ერთპიროვნულად გააკეთა. ხოლო აღმასკომს ამის თაობაზე რეაგირება არ ჰქონია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადად ჩანს, რომ სფფ-ს აღმასკომი არღვევს სფფ-ს წესდების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტს, როდესაც გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის დელეგატად ერთპიროვნულად მხოლოდ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით და არა გამგეობის ან საერთო კრების გადაწყვეტილებით ადგენს კანდიდატებს სფფ-ში.

2. სფფ-ს წესდების მე-7 მუხლი განმარტავს, რომ **სფფ-ს ორგანოებმა და ოფიციალურმა პირებმა უნდა დაიცვან სფფ-ს, ფიფას და უეფას წესდებები, აგრეთვე ფიფას ეთიკის კოდექსი და სფფ-ს ეთიკის კოდექსი, რომელიც დადგენილია სფფ-ს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ"**. ხოლო თავის მხრივ სფფ-ს ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი ინტერესთა კონფლიქტი განმარტავს შემდეგს.

I. დანიშვნამდე ნებისმიერ თანამდებობაზე კანდიდატებმა უნდა ამოწურონ ნებისმიერი პირადი ინტერესი, რომელიც, შესაძლოა, უკავშირდებოდეს მის მომავალ საქმიანობას.

II. მოვალეობების შესრულებისას, ოფიციალურმა პირმა უნდა ამოწუროს ყველა სიტუაცია, რომელმაც, შესაძლოა, იგი ინტერესთა კონფლიქტამდე მიიყვანოს. ინტერესთა კონფლიქტი ჩნდება მაშინ, როდესაც ოფიციალურ პირებს აქვს ან უჩნდება კერძო ან პირადი ინტერესი, რომელიც მას დამოუკიდებელი საქმიანობის საშუალებას ართმევს. კერძო და პირადი ინტერესები გულისხმობს გარკვეული სახის უპირატესობის მიღებას ოფიციალური პირის, ან მისი ოჯახის, ნათესავების, მეგობრებისა და ნაცნობებისთვის.

III. ოფიციალური პირი, შესაძლოა, ასრულებდეს გარკვეული სახის საქმიანობას, რომელიც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს, მაგრამ ფაქტის შესახებ აუცილებლად საქმის კურსში უნდა იყოს ის ორგანიზაცია, რომელშიც ეს პირი მუშაობს.

ცხადია, რომ სფფ-ს მიერ არაერთხელ იქნა დარღვეული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის სამივე პუნქტი, როდესაც დელეგატებად სფფ-ს სხვადასხვა წევრებმა ხუთზე მეტი პიროვნება და მათ შორის ნაკრების მწვრთნელი წარადგინეს ყრილობის დელეგატებად, რომლებიც სფფ-ს თანამშრომლები არიან და რომლებმაც ხმა იმ პერიოდისთვის მის უშუალო ხელმძღვანელ-გენერალურ მდივანს უნდა მისცეს.

ეთიკის კოდექსი დარღვეულ იქნა თავად პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ, როცა მან დროულად არ მოიხსნა თავისი უფლებამოსილება. ამასთან საინტერესოა, აცნობეთ თუ არა ამის შესახებ უეფას, ვინაიდან პუნქტი III ამას პირდაპირ გავალდებულებთ.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო სრულად იზიარებს უეფას პოზიციას იმის თაობაზე, რომ სფფ სრულიად არის უფლებამოსილი, გამოიყენოს თავისი მარეგულირებელი ჩარჩო სამუშაო პროცესში, თუმცა აქაც აღვნიშნავთ, რომ ეს მარეგულირებელი ჩარჩოები არ უნდა იქნას დარღვეული თავად სფფ-ს აღმასკომის მიერ, როგორც ეს ამ წერილის პირველ მუხლში არის აღნიშნული.

რაც შეეხება სამთავრობო ორგანოებისგან სავარაუდო ზეწოლასთან დაკავშირებულ ფაქტებს, გთხოვთ დაუყოვნებლივ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა მასალა და ინფორმაცია (მათ შორის უეფასთან წარმოებული კორესპონდენცია), რათა მსგავსი ფაქტების არსებობის შემთხვევაში ჩვენს მიერ უმოკლეს ვადებში იქნას გატარებული რადიკალური და პრევენციული ზომები.

და ბოლოს, გვინდა სახელმწიფოს სახელით დავადასტუროთ ღრმა პატივისცემა უეფასა და ფიფას მიმართ და გამოვთქვათ უპირობო, მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი ფეხბურთის მმართველ ორგანოებთან ქართული ფეხბურთის განვითარების მიმართულებით.

**პატივისცემით,**

**ტარიელ ხეჩიკაშვილი**

**მინისტრი**

◉ ეროვნული თასი



# იდუმალი სცენარით

**ფოთის „კოლხეთი" ახალ სეზონში პირველად წარსდგა თბილისელი ქომაგის წინაშე და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, როგორიც ქართული ფეხბურთის აკვნის დამრწევი ქალაქის გუნდს ეკადრება.**

ეს ეროვნული თასის გათამაშების სასტარტო რაუნდის პირველ შეხვედრაში პრესტიჟული ჯილდოს 12-გზის მფლობელ „დინამოსთან" მატჩში მოხდა, რომელიც „თერთ-ლურჯებმა" დიდი ძალისხმევის ფასად მოკრძალებული ანგარიშით მოიგეს – 1:0, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რამდენიმე ეპიზოდში ფაზისელებმა ისეთი საგოლე მომენტები გაფლანგეს, უიღბლობაზე საწუწუნო ნამდვილად რომ აქვთ.

სხვათა შორის, ერთ-ერთი საფრთხის განეიტრალებას მასპინძელთა ახალგამოჯანმრთელებული მეკარის ლიბორ ჰრდლიჩკას ლაზარეთში დაბრუნება მოჰყვა, გამარჯვების მომტანი ბურთები კი სტუმრებს უბერებელი იაშვილის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ ჯიღაურმა გაუტანა.

აღსანიშნავია, რომ მარცხიანად ჩაება სათასო ბატალიებში ქვეყნის მოქმედი ჩეპიონი გორის „დილა", რომელმაც შინ „ზუგდიდთან" წააგო 1:2.

მოკლედ, საპასუხო ბრძოლები ბევრ საინტერესოს გვპირდება.

**კობა კობახიძე**

◉ ჩემპიონთა ლიგა

# სასტარტო პარადოქსები

**ჩემპიონთა ლიგის სასტარტო მატჩების მიმოხილვისას აქცენტი ესპანური კლუბების წარმატებებზე გავაკეთეთ – მათ ხომ სამივე მატჩი მოიგეს. მეორე სათამაშო დღის შემდეგ უკვე ინგლისელთა ფიასკოზე გვიწევს საუბარი – სარბიელზე გამოსული პრემიერლიგის ოთხი წარმომადგენლიდან მხოლოდ „ჩელსიმ" გაახარა გულშემატკივრები, ხოლო ხელმოცარულთა ტრიო ლონდონის „არსენალმა" შეავსო, რომელიც ზაგრებში სენსაციურად დამარცხდა „დინამოსთან.** ისიც სათქმელია, რომ „მეთოფეები" ჟიურიმ დაალალატა, რომელმაც პირველივე ტაიმში გააძევებინა თავი მსაჯს, მაგრამ ეს ფაქტი ოდნავადაც არ აფერმკრთალებს მასპინძელთა გამარჯვებას – მათ მრისხანე მეტოქეს ხომ საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა ვითარების გამოსასწორებლად.

აღსანიშნავია, რომ სადებიუტო



რაუნდი გამოუყენებელი პენალტებითა და წითელი ბარათების სიმრავლით გამოირჩეოდა, თუმცა მოხდა კიდევ ერთი ისეთი შემთხვევა, რომელიც ხაზგასასმელად მიგვაჩნია და იგი „ბარსელონას" უკავშირდება.

მოგეხსენებათ, სეზონის სტარტზე კატალონიელთა გერმანელმა მეკარემ მარკ ანდრე ტერ შტეგენმა რამდენიმე შემთხვევაში ზედიზედ 4-4 გოლი გაუშვა, მათ შორის უეფას სუპერთასისთვის თბილისში „სევილიასთან" და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ესპანეთის სუპერთასისთვის ბილბაოში გამართულ ბრძოლებში, თანაც ბასკების მცველმა სუსაეტამ სტუმრები მინდვრის ცენტრიდან დაამწუხრა. ბუნებრივია, ასეთი იაღლიშის შემდეგ „კამპ ნოუს" ბინადართა გოლკიპერმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, მაგრამ ბედის ირონიით მისმა შემცვლელმა მალევე მიიღო ტრავმა და საკვანძო პოზიცია ისევ ტერ შტეგენს დაეთმო.

ჰოდა, ძაღლის თავიც სწორედ აქაა დამარხული – ამჯერად უკვე „რომას" მოიერიშე ნახევარმცველმა ფლორენციმ გაუტანა მოედნის ცენტრიდან ბურთი კატალონიელებს.

მოკლედ, ვარსკვლავთა სიმრავლის მიუხედავად, „ბარსას" ქომაგები მშვიდად ვერ იქნებიან, ვიდრე მათი მეკარე საიმედოდ თამაშს არ დაიწყებს.

**„რომა" – „ბარსელონა" 1:1, „დინამო" (ზაგრები) – „არსენალი" 2:1, „ჩელსი" – „მაკაბი" 4:0, „დინამო" (კიევი) – „პორტუ" 2:2, „ვალენსია" – „ზენიტი" 2:3, „გენტი" – „ლიონი" 1:1, „ოლიმპიაკოსი" – „ბაიერნი" 0:3, „ლევერკუზენი" – ბატე 4:1.**

**გიორგი შოთაძე**

◉ ევრობასკეტი



# მართლაც ზღაპრული

**ლიტვა-იტალიის საკალათბურთო მეოთხედფინალი საფეხბურთო ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებს დაემთხვა, მაგრამ ვინც არჩევანი პირველის სასარგებლოდ გააკეთა, ნამდვილად არ შემცდარა – მან დაუვიწყარი სპექტაკლი იხილა, რომელიც დამატებით დროში ბალტიისპირელებმა მოიგეს – 95:85 (ძირითადი დრო – 79:79).**

ბრძოლის გმირის ვალანჩუნანსის დიდებულმა თამაშმა (26 ქულა) გვაფიქრებინა, რომ კიდევ კარგი იგი ჩვენთან მატჩის დროს ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ იყო, თორემ ვინც იცის, რა დღეს დაგვაწევდა. რაც შეეხება ქართველთა დამბრევ მაჩიულისს, მისმა 19 ქულამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა დრამატული დუელის ბედი.

დღის მეორე სანახაობა სერბეთმა და ჩეხეთმა შემოგვთავაზეს. ვესელის (22 ქულა) დიდებული თამაშის მიუხედავად, ბალკანელებმა დასკვნით მეოთხედში მაინც გატახეს მეტოქის შეუპოვარი წინააღმდეგობა – 89:75, რაც უპირველესად თეოდოშიჩის დამსახურებაა – 12 ქულა და 14 გადაცემა.

**ასე რომ, დღეს ტოპნახევარფინალია:** ლიტვა – სერბეთი!

**ვიტალი ჯაფარიძე**

ხსოვნა

# ნინა ნიკოლოზის ასული ეზუგბაია-თოდუა

ორმოცი დღეა მარადისობას შეუერთდა გამოჩენილი ქალბატონის, ახალგაზრდობის სანიმუშო აღმზრდელის, სახალხო განათლების დიდი ორგანიზატორის — **ნინა ნიკოლოზის ასული ეზუგბაია-თოდუას** ნათელი სული.

ამ ღვთისნიერმა ქალბატონმა საკუთარი განუმეორებელი ხელწერა დატოვა მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ და საპატიო საქმეში.



სულის მოძღვრად დაბადებული ამ ადამიანის ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში, მისგან ცხოვრების საგზლად — მამულის ერთგულება, კეთილშობილება, ცოდნის შეძენა-გაღრმავების წყურვილი — თითქმის სამი ათასამდე ახალგაზრდამ მიიღო.

საქმის ღრმა ცოდნისა და ერთგულების ბრწყინვალე ნიმუშია ის ფაქტი, რომ ის ოთხი ათეული წლის მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა ქ. გალის №2 საშუალო სკოლას. როგორც ლიდერი და მესაჭე — სანიმუშო იყო ყველასათვის.

გათავისებული ჰქონდა დიდ მოძღვართაგან ნაბოძები გაუხუნარი ჭეშმარიტება — აღეზარდა მომავალი თაობა პირადი მაგალითის ძალით. ცხოვრების საკუთარი ხელწერითა და ავტორიტეტით მას ამისი მორალური უფლება ჰქონდა.

დიდ ქართულ საქმეს იქ, აფხაზეთში, სხვა გამორჩეულ მოღვაწეთა გვერდით, ჩვეული ტაქტით აკეთებდა. სულით ხორცამდე ჰქონდა გათავისებული გალის რაიონის განსაკუთრებული როლი აფხაზეთის სინამდვილისათვის.

ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებამდე აყვანილი, საკუთარი ტაქტი ჰქონდა. მას ასეთად იცნობდნენ გალის რაიონში, აფხაზეთში.

პედაგოგიური კოლექტივის გაძღოლის მისეული მეთოდი სამაგალითო იყო ყველასათვის. მუშაობის მისეულ სტილს დღესაც წარმატებით იყენებენ შემდგომი თაობის პედაგოგები.

დიდი ოჯახის დედაბოძი, ცნობილი ადამიანის — ნიკოლოზ თოდუას ღირსეული მეუღლე, სანიმუშო პედაგოგი, დიდი ორგანიზატორი, რაიონის სასახელო შვილი — ერთი ადამიანისათვის, ვფიქრობთ, დიდზე დიდია.

ქალბატონი ნინა სწორედ ასეთი დაამახსოვრდება გალის რაიონს, აფხაზეთს, აღზრდილთა მრავალათასიან არმიას,კოლეგებს.

საქმემ მას სამართლიანად მიუჩინა ადგილი გალის რაიონის რჩეულ შვილთა შორის.

მოუშუშებელ ტკივილად აფხაზეთის აწეწილი მდგომარეობა გაჰყვა. სახელოვან მეუღლესთან — ნიკოლოზ თოდუასთან ერთად ძალისხმევა არ დაუშურებია ქართულ-აფხაზური ჩატეხილი ხიდის აღდგენისათვის.

ქალბატონი ნინას სულის ზეცად აბრძანების მეორმოცე დღეს, ეს პატარა მოგონება, მოკრძალებული მადლობაა მისი ხსოვნის წინაშე. პატივგებაა იმ დიდი შრომისათვის, ღირსეული ღვაწლისათვის, სახელმწიფო საქმის ერთგულებისათვის, რაც ამ დედა-ქალბატონმა გასწია.

ასეთ ადამიანებს დავიწყება არ უწერიათ.

განისვენოს მისმა ნათელმა სულმა მართალთა შორის,ამინ!

„საუკუნოდ იყავნ ხსენება იმისი, ხსენება და კურთხევა იმისი“.

**ნოდარ ზარანდია, კოტე კვირტია, ბაკურ გულუა, ნუგზარ ნადარაია, დიმიტრი ჯაიანი, რაჟდენ ქარდავა, რუდიკ ცატავა, ნუგზარ ფიფია, რაფიელ გელანტია, მერი გეგეჭკორი, სიმონ ზაქარაია, თამაზ ხუბუა, დალილა ხორავა, ჯუმბერ კაკუბავა, ნაპო მესხია,გოგი მესხია, ანზორ ბუკია, ზურაბ ბუკია, გია ზარანდია, ლამარა კაკუბავა, ლავრენტი ბერაძე, მერი ბერაძე, ოთარ აკიშბაია, რევაზ ეზუგბაია, გიგლა ქარდავა, გიგლა ძანძავა.**

ეპიტაფია

# აბესალომ (ბესო) ქაშიბაძე



საწუთროს ძალზე ნაადრევად განერიდა. ოთხი ათეული დღე გავიდა, რაც მარადისობის ბინადარია გამორჩეული ვაჟკაცი — **აბესალომ ქაშიბაძე**.

ეს ზნეკეთილი კაცი ღვთის საჩუქარი იყო. ძნელია, ნახო მისი დარი მეგობარი, პატრიოტი, ოჯახის მამა, სითბოს გამცემი ადამიანი. ძნელია, ნახო კაცი, ვინც მასავით დაანათლა შვილებს კეთილშობილება,ერთგულება.

გამორჩეული იყო სამშობლოს ძნელბედობის ჟამსაც — ვაჟკაცური შემართებით ებრძოდა მამულის ღირსების შემლახავთ.

ცხოვრების საგზლად ამ, გულკეთილმა მამამ, შვილებს — კეთილი სახელი დაუტოვა.

მისი სულის ზეცაში ნაადრევად წაბრძანება ეგებ იმის გამოა, რომ ეს მადლის უშურველად და უზომოდ გამცემი კაცი ნაადრევად გაიხარჯა.

ეს პატარა მოგონება მის მიერ ჩვენი ოჯახის მიმართ გამოჩენილი დიდი კეთილშობილების მოკრძალებული სამადლობელია. ის ასეთნაირი იყო ყველასათვის.

მისნაირ სულით დიდკაცებს დავიწყება არ უწერიათ.

**ზურაბ ბუკია, ნანა ბაგათელია,**
**ციცინო ბუკია, ლევან ბუკია**

**ნოდარ, გივი ემუხვარები დიდი მწუხარებით იუწყებიან ნათესავისა და ახლო მეგობრის, ერთგულებით, მეგობრობისა და ახლობლების მიმართ თანადგომისა და განსაკუთრებული სიყვარულით გამორჩეული ადამიანის, სიკეთით სავსე და სიყვარულის მთესველი პიროვნების**



## გია შერვაშიძის

**გარდაცვალების გამო.**

**გალის მე-3 საშუალო სკოლის 1969 წლის მე-10 ბ კლასის კურსდამთავრებულები დიდი გულისტკივილით იუწყებიან თანაკლასელის, ღირსეული პიროვნების**

## გია შერვაშიძის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

## განცხადება

2015 წლის 9 ნოემბერს, 13 საათზე, დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა №41) გაიმართება შპს „გლობალ ენერჯის“ კუთვნილებაში არსებული „პანტიანი ჰესის“ რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია დმანისის რაიონში, სოფელ პანტიანში მდებარე მცირე ჰესის — „პანტიანი ჰესი“ რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა №41;
- შპს „გლობალ ენერჯის“ ოფისში — დმანისის რაიონი, ყოფილი სამრეწველო კომბინატი;
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.

ტელ: 5 (95) 59 52 55; 5(95) 28 75 60.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ჯულული ახვლედიანი. ტელ: 595 59 52 55; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;
- რაშად ნასიბოვი. ტელ: 58186728 ; E-mail: qlobalenerji@gmail.com.

საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

**შპს „გლობალ ენერჯის“ ადმინისტრაცია**

ინფორმაცია

## ხელნაწერთა ინსტიტუტი ბინას ქალაქის ცენტრში დაიდებს

ეროვნული ბანკის ყოფილ შენობაში ხელნაწერთა ინსტიტუტი გადავა, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა.

„პრივატიზების ნაწილში, მინდა მოგახსენოთ, რომ დღეის მდგომარეობით, 103 პროცენტით არის უკვე შესრულებული პრივატიზება, რაც გეგმაში ჰქონდა ეკონომიკის სამინისტროს. დაანონსებული ობიექტები პრაქტიკულად ყველა გაიყიდა. ერთადერთ ობიექტზე, ეროვნული ბანკის ყოფილ შენობაზე, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ იქ გადავა ხელნაწერთა ინსტიტუტი, რაც, ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილებაა.“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

ინფორმაცია

## დანაშაული კლებულობს, გახსნის მაჩვენებელი მატულობს

**შინაგან** საქმეთა სამინისტრო აგვისტოს თვის და იანვარ-აგვისტოს დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. შსს-ს ინფორმაციით, 2015 წლის აგვისტოს თვეში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების (მთავარი პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო) მიერ რეგისტრირებულ იქნა 3402 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1463 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 43%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -3.82%.

აგვისტოში შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 2278 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1293 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 56.76%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა — 5.28%.

2015 წლის იანვარ-აგვისტოს თვეებში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულ იქნა 23550 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 13307 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 56.51%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -4.55%.

## მორიგი პროვოკაციული გამოწვევა ოსეთის მხრიდან, თუ ჩვეულებრივი ხანძარი?

**ოკუპირებული** სამხრეთ ოსეთის ე.წ „ფე-ეს-ბე“ ე.წ. საზღვართან ხანძრის გაჩენაში ქართულ მხარეს ადანაშაულებს. როგორც Sputnik-ossetia იტყობინება, ამის შესახებ ჟურნალისტებს ე.წ. „ფე-ეს-ბე“ სასაზღვრო სამმართველოდან აცნობეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ხანძარი ე.წ. საზღვრის მიღმა დარჩენილ, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვათეთრის სიახლოვეს გაჩნდა. ოსური მხარის მტკიცებით, „ბოროტმოქმედებმა ხანძრის სამხრეთ ოსეთის მიმართულებით გავრცელების მიზნით“ ქართულ სოფელ ღოღეთთან გამხმარ ბალახს ცეცხლი წაუკიდეს.

ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში აცხადებენ, რომ ანალოგიური შემთხვევა გასულ თვესაც მოხდა.

## რად გინდოდათ ამდენი ნარკოტიკი, ქალბატონო ნათია!

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ბათუმში მცხოვრები, 1987



წელს დაბადებული ნათია შ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 187 აბი „ექსტაზი“ და 0,04218 გრ კოკაინი ამოიღეს. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, 166 აბი 7,2303 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს, ხოლო 21 აბი 0,10489 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება ამფეტამინს და 0,0524 გრ მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს შეიცავს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

## მცირე ენციკლოპედია

# ჭეშმარიტი „მაჩოს“ სადილი

**დიეტოლოგები ამტკიცებენ, რომ სქესებს შორის განსხვავება მამაკაცისა და ქალის ორგანიზმისთვის სასარგებლო სხვადასხვა სახეობის საკვებშიც გამოიხატება.**



თუმცა კი საქმე ზოგჯერ სახალისოც ხდება — მაგალითად, ზოგიერთნი ამბობენ, რომ მამაკაცებმა უფრო მეტი ხორცი უნდა მიირთვან, ლუდი კი თითქოსდა... ქალურ ჰორმონებს შეიცავს, რომლებიც მამაკაცის ორგანიზმისთვის საზიანოა...

უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ნივთიერებებში მამაკაცისა და ქალის ორგანიზმების მოთხოვნილება მართლაც განსხვავებულია. ეს, პირველ ყოვლისა, სიმაღლით, წონითა და ფიზიოლოგიური თავისებურებებითაა განპირობებული. მაგალითად, მამაკაცები ცილოვან საკვებს უფრო მეტად საჭიროებენ — მათთვის პროტეინების დღიური ულუფა 85-90 გრამია, ქალებისათვის კი — 70-75 გრამი. ამასთან, განსაკუთრებული „მამაკაცური“ ან „ქალური“ კვების პროდუქტები არ არსებობს, ორივე სქესისთვის დღიური რაციონი, პირველ ყოვლისა, დაბალანსებული უნდა იყოს.

რაც შეეხება ლუდს, აქ საქმე არა „ქალურ“ ჰორმონებშია, რომლებსაც ის თითქოსდა შეიცავს, არამედ იმაში, რომ წონის მომატებას უწყობს ხელს. ცხიმოვანი ქსოვილის სიჭარბე კი ჰორმონალურ ფონს არღვევს როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში.

# „თეთრები“ იწყებენ და...

**ქერათმიანთა საერთაშორისო დღე მსოფლიომ 31 მაისს აღნიშნა. ამ დღეს მრავალმა პოპულარულმა გამოცემამ „თეთრთმიანთა“ კლანის მრავალი გამოჩენილი ქალი გაიხსენა.**



ძირითადი აზრი კი ის იყო, რომ მტკნარი სიცრუეა, თითქოს ყველა ქერათმიანი ქალი შტერი და პრანჭიაა — ეს, როგორც ჩანს, მათი შავთმიანი თუ ჟღალთმიანი „კონკურენტების“ მონაგონია. თანაც, მეტად საგანგაშოა ის გარემოება, რომ მეცნიერები უკვე დიდი ხანია, ამტკიცებენ: წლიდან წლამდე ქერათმიან ქალთა რიცხოვნობა დედამიწაზე მცირდება. (ამ შემთხვევაში, ცხადია, ლაპარაკია მხოლოდ ბუნებრივ ქერათმიან ქალბატონებზე). მათი აზრით, 23-ე საუკუნის დამდეგისთვის ნატურალური ქერა ქალები, ფაქტობრივად, აღარ იქნებიან!

ამიტომ, ისეთი ანეკდოტები, როგორებიცაა, მაგალითად: „რატომ არიან იაპონელები ასეთი გონიერი ერი? იმიტომ რომ ქერა ქალები არა ჰყავთ!“ იმ დროს აქტუალური აღარ იქნება.

დიახ, ბევრი ქერათმიანი ლამაზმანი წამოეგება, ცოტა არ იყოს, უკბილო ხუმრობაზე, როცა წინ დაუდებენ ფურცელს წარწერით: „აბა, გადამაბრუნე!“ უკან კი რამე უხამსობა იქნება დახატული ან დაწერილი, მაგრამ ეს მაინც სახალისო იქნება! მეორეც კიდევ, ქერათმიანი ქალი, — ყველაფერ სხვას თავი რომ დავანებოთ, საამო საცქერია!

# ისევ ნაოჭები სჯობს!



**მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ეგრეთ წოდებული „სილამაზის ნემსები“ ინსულტის განვითარების რისკს ზრდიან.**

სპეციალისტებმა გამოიკვლიეს, რომ ნაოჭების გასასწორებლად გაკეთებული ფილერების ინიექციების უცხო მასალას სისხლძარღვებით გადაადგილების უნარი აქვს. ამ მიგრაციას კი პერიფერიული სისხლძარღვების დაცობა შეიძლება მოყვეს, რის შედეგად მთელი სისტემა შესაძლოა, საბედისწეროდ მოიშალოს.

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

## მკურნალი წინდები

# ფეხების ტკივილი გაწუხებთ?



**თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.**

**ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!**

**წინდები ჩვეულებრივად ნელ-თბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.**

**შესაძენად დარეკეთ 293-37-87 (ივ. მაჩაბლის 7), იკითხეთ კუკური.**

## ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

## კადრი



შაოლინელმა ბერმა წყლის ზედაპირზე დაწყობილ ფანერის ფიცრებზე 125 მეტრი გაირბინა. ეს დავალება მოითხოვს წონასწორობის საუცხოო გრძნობასა და მაღალ სისწრაფეს. ამავე ბერის წინა რეკორდი 120 მეტრი იყო.

## ცინცხალი ანეკდოტები

**— მიხო, რას შვები, კაცო?! ქვეყანაში კრიზისია, შენ კი მხიარულობ!**

**— ეს თქვენა გაქვთ კრიზისი, თორემ მე ჩემსას გუშინ გავეყარე!**

* * *

**ორი ნაცნობი ერთმანეთს შეხვდა.**

**— დაქორწინდი? — ეკითხება ერთი.**

**— არა, ვეძებ ლამაზ და ჭკვიან გოგოს.**



**— ჭკვიანს... მაინც რა დონის ჭკვიანს?**

**— ძაღლის დონისას მაინც.**

**— ???**

**— რომ შეძლოს ჩემი ბრძანებების გაგება და შესრულება.**

* * *

**კომპიუტერების წყალობით ადამიანები გადაეჩვივნენ წერას, მანქანების წყალობით — სიარულს, ტელევიზორის წყალობით კი — ფიქრს.**

* * *

**ფულს ბედნიერება არ მოაქვს, მაგრამ მისი მეშვეობით შეიძლება ლამაზმანებიანი იახტის შეძენა. ასეთ იახტაზე კი ჯერ არავინ მინახავს მოწყენილი და უბედური.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე